Eka Urushadze, Eka Datuashvili, Nino Vasadze, Keti Kakabadze, Nana Karseladze, Aleksandre Raibuli , Dato Chikvaidze, Maka Asambadze, Salome Khutsishvili, Eliso Gharibashvili, Ana Nadirashvili, Lela Khoperia, Lia Todua, Manana Mchedlishvili, Misha Gogichaishvili, Tamar Gobejishvili, Kristine Kandelaki, Levan Rostomashvili, Nona Aladashvili.

## დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

"ცენტრისთვის", როგორც სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, რომელსაც, ძირითადად, საზოგადოებრივი მიზნები ამოძრავებს, საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს სწორედ ჩვენს მრავალრიცხოვან დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია წარმოადგენს. ყოველი ახალი პროგრამის ფარგლებში ან საქმიანობის ახალი ეტაპის დასაწყისში, როგორც წესი, ხდება სამიზნე ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და იგეგმება მათთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღების პროცესი.

***ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი დაინტერესებული მხარეებია:***

- ორგანიზაციის თანამშრომლები
- დონორები
- სამოქალაქო ორგანიზაციები (თბილისისა და რეგიონების პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები, სოფლის საინიციატივო ჯგუფები)
- ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტები
- ცენტრალური მთავრობის ცალკეული სამინისტროები, რომლებთანაც ორგანიზაციას აქვს ურთიერთობა საქმიანობის პროცესში
- ქართული ბიზნეს კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვით;
- ქართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სადაც ისწავლება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგანი, ან იგეგმება ზემოაღნიშნულის დანერგვა;
- ჩვენი პუბლიკაციების ადრესატები - კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტები
- ორგანიზაციის ექსპერტთა ქსელის წევრები
- ჩვენს მიერ ჩატარებული ტრენინგების ბენეფიციარი ორგანიზაციები
- მას-მედიის საშუალებები

## STAKEHOLDER ENGAGEMENT

Being a civil organization and driven primarily by social goals, CSRDG considers communication with our numerous stakeholders to be one of the main components of our activities. As a rule, within every new program, or prior to starting a new stage in an existing one, our target groups and stakeholders are identified and the communication and feedback processes planned.

***Our main stakeholders are:***

- Organization's employees
- Donors
- Civil organizations (partner non-governmental organizations from Tbilisi and other regions, village initiative groups)
- Our target municipalities
- Some of the ministries, with which the organization interacts during our activities
- Georgian private companies interested in the implementation of the corporate social responsibility;
- Georgian universities where the corporate social responsibility is included or is planned to be into the curriculum;
- Addressees of our publications - research institutes and colleges/universities, as well as experts from various spheres
- Members of the CSRDG's network of experts
- Beneficiary organizations of the trainings held by us

oMedia sources

ჩვენს ორგანიზაციას მუდმივად აქვს კავშირი საკუთარი დაინტერესებული მხარეების მრავალრიცხოვან ჯგუფებთან მათი მოლოდინებისა და მოთხოვნების გამოსავლენად, აგრეთვე ორგანიზაციის საქმიანობით კმაყოფილების დონის შესაფასებლად.

თითოეულ ჯგუფთან სხვადასხვა მეთოდით ხდება კომუნიკაცია.

თანამშრომლებს, რომლებიც ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ, ყოველდღიურად ეგზავნებათ დაიჯესტები, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ორგანიზაციაში მიმდინარე პროგრამების სიახლეები. გარდა ამისა, რეგულარულად (თვეში ერთხელ) ტარდება პერსონალის ერთიანი შეხვედრები, რომლებზეც პროგრამების კოორდინატორები დანარჩენ თანამშრომლებს აცნობენ თითოეული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობას და უახლოეს სამომავლო გეგმებს. ამ შეხვედრებზე თანამშრომლებს შეუძლიათ აგრეთვე დასვან შეკითხვები და წამოწიონ და განიხილონ ნებისმიერი ორგანიზაციული, თუ პროგრამული საკითხი, რომელიც მათი აზრით რაიმეს შეცვლას ან დახვეწვას საჭიროებს.

დონორებისათვის გარკვეული რეგულარობით მზადდება საქმიანობის პროგრამული და ფინანსური ანგარიშები და წარედგინებათ სამომავლო საქმიანობის გეგმები. უკუკავშირის მიღება ხორციელდება აღნიშნულ ანაგრიშებსა თუ სამოქმედო გეგმება და პროგრამებზე კომენტარების სახით. გარდა ამისა, ტარდება საკონსულტაციო-საინფორმაციო შეხვედრები.

სამიზნე თუ პარტნიორ სამოქალაქო ორგანიზაციებთან (იქნება ეს სოფლის სათემო ჯგუფები, კოალიციის წევრი თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ჩვენი რეგიონული პარტნიორი არასამთავრობოები) რეგულარულად ტარდება საკოორდინაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებზეც ხდება გამოცდილების გაზიარება, პოზიციების შეჯერება, წამოჭრილი პორბლემების განხილვა და სამომავლო საქმიანობათა დაგეგმვა.

სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებთანაც ორგანიზაცია ურთიერთქმედებს საქმიანობის პროცესში, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტებსა და ჩვენი გამოცემების ადრესატებს ორ-

Our organization constantly stays in touch with numerous groups of its stakeholders, in order to identify their expectations and needs, as well as to evaluate their level of satisfaction with the organization's activity.

A variety of communication methods is applied for different stakeholder groups.

Our employees, one of the most important groups of the organization's stakeholders, are sent daily digests with brief news about our ongoing programs. Besides, general staff meetings are held regularly (monthly), where each program coordinator presents the activities and future plans for their respective programs. During the meetings the personnel are able to ask questions and raise or discuss any organizational or program related issue, which, in their opinion, need to be improved.

Our financial and program reports are regularly prepared for the donors, and future action plans are presented. Feedback is provided by means of comments on the reports or action plans. Co-ordination and consultation meetings are also held regularly with target groups or partner civil organizations (rural community groups, coalition member non-governmental organizations from Tbilisi, or our regional partner NGOs). These provide opportunities for sharing experience, aligning different positions, discussing issues and planning future activities.

The organization regularly invites our interlocutory government representatives, as well as various spherical experts and addressees of our publications, to seminars and public hearings organized by us, where opinions are expressed and exchanged. Recommendations made by CSRDG to various government agencies are also often discussed at joint work meetings.

Furthermore, program coordinators regularly inform the authors of the articles published in our bulletins (members of CSRDG's network

განიზაცია რეგულარულად იწვევს მის მიერ მოწყობილ სემინარებსა და საჯარო განხილვებზე, რომლებზეც ხდება პოზიციების დაფიქსირება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. „ცენტრის" მიერ სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის მიწოდებული რეკომენდაციები აგრეთვე ხშირად განიხილება ერთობლივ სამუშაო შეხვედრებზე.

გარდა ამისა, ჩვენს „ბიულეტენში" გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს (ანუ „ცენტრის" ექსპერტთა ქსელის წევრებს) პროგრამების კოორდინატორები რეგულარულად აცნობენ „ცენტრის" კვლევითი საქმიანობისათვის დასახულ გეგმებს. ავტორებს შესაძლებლობა აქვთ შეიტანონ გარკვეული კორექტივები ამ გეგმებში და, მაგალითისათვის, შესთავაზონ პროგრამის კოორდინატორებს რაიმე დამატებით საინტერესო და აქტუალურ საკითხზე კვლევის ჩატარება.

ჩვენს სამიზნე ბიზნეს კომპანიებთან კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება სხვადასხვა სახის ფორუმებზე და სამუშაო შეხვედრებზე, როგორიცაა „გლობალური შეთანხმების" რეგიონული ქსელის სამუშაო შეხვდრები, ამერიკის სავაჭრო პალატასთან დაარსებული "სოციალური პასუხისმგებლობის საბჭოს" სამუშაო შეხვედრები, სოციალური პასუხისმგებლობისადმი მიძღვნილი სხვადასხვა კონფერენციები და სემინარები და სხვა.

ჩვენი სერვისების (ტრენინგებისა და კონსულტაცების) ბენეფიციარებისგან უკუკავშირის მიღება ხორციელდება სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რომლებიც ურიგდებათ ტრენინგის მინაწილეებს, აგრეთვე სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით.

ხოლო მას-მედიის საშუალებებს პრესრელიზების და განცხადებების სახით რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ. ორგანიზაცია აგრეთვე ყოველდღიურად აწარმოებს ძირითადი მედია საშუალებების კონტენტ-ანალიზს, რომლის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდება ორგანიზაციების ექსპერტების კომენტარები და მიეწოდება შესაბამის მედია საშუალებებს. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა პრესკონფერენციები და სადისკუსიო შეხვედრები მედიასთან, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე.

დაინტერესებული მხარეების ინფორმირე-

of experts) about the plans made for our research activity. The authors have opportunities to make certain corrections in the plans and offer suggestions (e.g. recommend program coordinators to conduct research on some other additional or relevant issues).

We mainly communicate with our target private companies at different forums and workshops, such as meetings of the regional network of the Global Compact, meetings organized by the Social Responsibility Council of the American Chamber of Commerce and various conferences and seminars dedicated to the social responsibility etc.

Feedback from the beneficiaries of our services (trainings and consultations) is received through special questionnaires that are distributed to the participants as well as through special surveys.

Media sources are regularly provided with information about our activities through press-releases and other hand-outs. We conduct daily content analysis of the main media sources, and our experts' special comments on any important issues identified are provided to the respective Media. If needed, press-conferences and discussions with the Media are organized, where they can obtain answers on questions of interest to them.

Other instruments for keeping the stakeholders informed and communicating with them are our internet website and our publications (regular bulletins, annual reports and other publications). CSRDG's contact details, as well as a request to contact us and give us feedback, is provided on the website and published in every bulletin. This is quite an active mechanism, and readers of our publications or website visitors regularly call CSRDG with various questions or comments. The comments received are collected, discussed and considered when planning our next activities.

ბისა და მათთან კომუნიკაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი ვებ-გვერდი და ჩვენი პუბლიკაციები (რეგულარული ბიულეენი, წლიური ანგარიში და სხვა გამოცემები). როგორც ვებ-გვერდზე, ისე ყველა ჩვენს გამოცემაში განთავსებულია „ცენტრის“ საკონტაქტო ინფორმაცია და თხოვნა, დაგვიკავშირდენ და მოგვაწოდონ საკუთარო მოსაზრებები და შენიშვნები. ეს მექანიზმი საკმაოდ ქმედითია — „ცენტრში“ რეგულარულად რეკავენ ჩვენი გამოცემებისა თუ ვებ-გვერდის მომხმარებლები სხვადასხვა სახის შეკითხვებითა თუ კომენტარებით. გამოთქმული მოსაზრებები აღინიუსხება, განიხილება და გათვალიწინებულია შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას.

„ცენტრი“ აგრეთვე გარკვეული რეგულარობით ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებით მათი კმაყოფილების დონის შეფასებისა და წამოჭრილი პრობლემების გამოვლენის მიზნით. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ხდება ცვლილებების შეტანა მიმდინარე პროექტებში და სამომავლო სტრატეგიის დაგეგმვა.

The Centre also conducts fairly regular sociological research with various target groups aimed at measuring their satisfaction level with our activities and identifying any existing problems. Based on the survey results, changes are made in the current projects and future strategy planned.

# 3 პროგრამული საქმიანობის ანგარიში
# PROGRAM REPORT ON OUR ACTIVITY

## ცენტრის სამწლიანი პროგრამა (2014-2016წწ.)

ცენტრის სამწლიანი პროგრამა ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამთავრობო, სამოქალაქო და ბიზნესსექტორების ერთობლივ ეფექტიან მონაწილეობას საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესებში და სამივე სექტორის სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბების მეშვეობით ქვეყნის სოციალურად დაუცველი ფენების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პროგრამული მიზნის მისაღწევად ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა სტრატეგია:

- ინტერესთა დაცვის კამპანიები სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებზე;
- საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/საკითხების მიტანა გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე;
- საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა კოალიციური და ქსელური მუშაობის სტიმულირებით;
- სამთავრობო პროგრამებისა და რეფორმების განხორციელების მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგი და ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეროვნული და ადგილობრივი დონის არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სკოლების ტექნიკური დახმარება (კონსულტაციები და ტრენინგები);
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით;
- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

ცენტრი თავის საქმიანობას ქსელურ-კოალიციურ პრინციპებზე დაყრდნობით წარმართავს თბილისსა და საქართველოს 11 სამიზნე რაიონში — ლაგოდეხი, ოზურგეთი, ჩოხატაური, სიღნაღი, თელავი, ყვარელი, საგარეჯო, აბაშა, მარტვილი, სენაკი და ხობი — თემის განვითარებისა და მუნიციპალ-

## CSRDG'S THREE YEAR (2014 – 2016) PROGRAM

CSRDG's Three Year Program aims to achieve the organisation's mission - supporting mutual effective participation of the governmental, public and business sectors in the processes of the democratic development of Georgia and, by establishing social partnership among all three sectors, promoting improvements in the quality of life of socially unprotected population.

In order to achieve these program objectives, the organisation has developed various implementation strategies:

- Advocacy campaigns on State policy priority issues;
- Raise problems/issues which are relevant to the public to the decision makers;
- Support to increase the effectiveness of activities, by stimulating coalition and network types of work;
- Monitoring the implementation of government programs and reforms;
- Monitoring municipality activities and support in increasing their accountability;
- Community/rural development;
- Technical support (consultations and training) to national and local non-governmental organisations and public schools;
- Support for civil society development, by creating a favourable environment;
- Popularisation of Corporate Social Responsibility (CSR) and participation in the development of State policies for SCR support.

CSRDG undertakes its activities in a network-coalition form. In Tbilisi and the 11 municipalities of Georgia - Lagodekhi, Ozurgeti, Chokhatauri, Sighnaghi, Telavi, Kvareli, Sagarejo, Abasha, Martvili, Senaki and Khobi - community development and municipality monitoring activities are being carried out by a Network created under the program.

იტეტების მონიტორინგის მიმართულებით საქმიანობა მიმდინარეობს პროგრამის ფარგლებში შექმნილი ქსელის საშუალებით.

ქსელი 2002 წლიდან ფუნქციონირებს და მისი წევრები არიან ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციები — „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია“ (ლაგოდეხი), „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ (ოზურგეთი), ხოლო თელავში ქსელის საქმიანობას წარმართავს „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თელავის ბიურო“. ქსელურად განხორციელებული საქმიანობა რაიონებში აქ არსებული პრობლემების გამოვლენის, მათი სპეციფიკის უკეთ გააზრების და ეროვნულ დონეზე მათი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

სამწლიანი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სამი ქვეპროგრამა: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება; კარგი მმართველობის ხელშეწყობა; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა.

The Network has been operating since 2002, and its members are CSRDG's partner organisations – "Georgian Civil Development Association" (Lagodekhi) and "Georgian Democratic Development Union" (Ozurgeti). As for Telavi, activities of the Network are carried out by CSRDG Telavi Bureau. Activities carried out through the Network make it possible to identify local problems, better understand their specific nature, and generalise these to the national level.

Three sub-programs are being implemented under the Three Year Program - Strengthening Civil Society Institutions; the Promotion of Good Governance; and Promotion of the Development of Corporate Social Responsibility.

## პროგრამა -სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება

***პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციურ და ფინანსურ მდგრადობას, რათა ისინი ადეკვატურად მოემსახურონ და ეფექტიანად წარმოაჩინონ საკუთარი სამიზნე ჯგუფების ინტერესები.***

პროგრამის მიზნის მისაღწევად შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს შექმნის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების ტექნიკურ-ინფორმაციული და ფინანსური დახმარების გზით.

პროგრამა მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით. მათ ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ქვეპროგრამები: საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება და თემის განვითარება.

### თემის განვითარების ქვეპროგრამა

***თემის განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მუნიციპალიტეტებში სოფლის სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის რესურსებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რათა მოსახლეობამ ეფექტიანად მოახერხოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და გაუმკლავდეს ადგილობრივ პრობლემებს.***

პროგრამის სტრატეგია მდგომარეობს საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის კომპლექსური სერვისის შეთავაზებაში, როგორიცაა მაგ., საინფორმაციო რესურსების (ინფორმაცია დაფინანსების წყაროების, ტრენინგების, წარმატებულ მაგალითების შესახებ და ა.შ.) ხელმისაწვდომობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის უზრუნველყო-

## PROGRAM - STRENGTHENING CIVIL SOCIETY INSTITUTIONS

***The program goal is to support institutional and financial sustainability of local, regional and national level civil society organizations, to help them adequately service and effectively represent interests of their target groups.***

The developed strategy to achieve the program goal implies to supporting the civil society by means of creating a favorable operational environment and providing technical-informational and financial support to non-governmental organizations and community groups/organizations.

The program covers national as well as local levels and has two main directions. To ensure successful activities within those directions, two sub-programs have been developed: development of civil society organizations and community development.

### SUB-PROGRAM - COMMUNITY DEVELOPMENT

***Community development program is aimed at ensuring access to resources and information for village community groups and organizations in Georgian municipalities, that will enable the population to effectively use their capacity and tackle local problems.***

The program strategy is to offer community centers and organizations operating in Georgia multi-purpose services, such as: for example, ensuring access to information resources (information about funding sources, trainings, success cases, etc.) and possibilities of experience sharing. A particular attention is paid to assisting in establishing partner relations between strong civil society organizations and

ფა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების მდგრადობისათვის ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. გარდა ამისა, გრძელდება სამიზნე სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების გაძლიერება, რათა მათ უკეთ შეძლონ სოფლის ინტერესების წამოწევა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მათი ლობირება.

2014 წელს გაფართოვდა პროგრამის გეოგრაფიული დაფარვის არეალი. გურიის და კახეთის რეგიონებს დაემატა სამეგრელო. შესაბამისად გაიზარდა პროგრამის სამიზნე სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების რიცხვი, კერძოდ პროგრამამ იმუშავა 29 თემში.

community groups and organizations in order to ensure sustainability of the latter. Besides, strengthening of target community groups and organizations was carried on, to enable them better represent village interests and lobby them at the local government.

In 2014, the program geographic coverage area was expanded, adding Samegrelo to he regions of Guria and Kakheti. Thus, the number of program target community groups and organizations increased to 29 communities.

### თემის განვითარების რესურს ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბაზაზე 2011 წელს შეიქმნა და 2012-2013 წლებში აქტიურად ამუშავდა საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოქმედი სოფლის სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების მხარდამჭერი რესურს ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების ზრდას, უწყვეტ ინფორმაციულ კავშირს არსებულ ჯგუფებს შორის და მათ შესახებ ფართო აუდიტორიიისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

### Community development resource center

On the basis of Center for Strategic Research and Development of Georgia, the resource center supporting rural community groups and organizations was created in 2011, and was put to active work in 2012-2013, supporting their capacity building, uninterrupted informational connection between the groups and delivering information about them to the wide audience.

### სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა

რესურსცენტრის მიერ შემუშავდა საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების, მუდმივად განახლებადი, მონაცემთა ბაზა, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია 120 სათემო ჯგუფსა და ორგანიზაციაზე, მათი საქმიანობის გეოგრაფიულ დაფარვაზე, ძირითად მიმართულებებსა და სამიზნე ჯგუფებზე, ასევე ბოლო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებსა და მიმდინარე პროექტებზე. ეს ინფორმაცია სათემო ცენტრების რუკის და სპეციალური ფორმატის — ცხრილის — სახით განთავსებულია თემის განვითარების რესურსცენტრის ვებ-პორტალზე (ინფორმაცია ვებ-პორტალზე იხ. ქვემოთ).

### Database of the Community Groups and organizations

The resource center developed a constantly updated database of community groups and organizations operating in Georgia. The database contains information on 120 community groups and organizations, geographic coverage area of their activity, the main directions and target groups, as well as recently implemented activities and current projects. This information is presented a a mapping of the community centers and in a special table, and is published on the community development resource center's web-page (information about the web-page is provided further down).

### თემის განვითარების რესურს ცენტრის ვებპორტალი

თემის განვითარების რესურს ცენტრმა 2011 წლიდან წარმატებით აამოქმედა ვებპორტალი — www.cdrc.ge. ასევე, ფეისბუკზე შექმნილია თემის განვითარების რესურსცენტრის სპეციალიზებული გვერდი, რომელზეც, ვებპორტალის მსგავსად, განთავსებულია ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებულ საინტერესო პროექტებზე, გამოცხადებულ კონკურსებსა და მიმდინარე სიახლეებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ვებპორტალის და თემატური სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებლები არიან საქართველოს მასშტაბით მოქმედი სათემო ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ თემის განვითარების რესურს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

### სემინარები, კონსულტაციები, ტრენინგები

დაინტერესებულ ორგანიზაციებს რესურსცენტრი სთავაზობს კონსულტაციებს, ასევე ტრენინგებში, თემატურ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას.

2014 წელს ორგანიზებული სემინარებისა და ტრენინგების თემის შერჩევა ხდებოდა სათემო ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით (პირდაპირი გასაუბრებისა და ვებპორტალის ინტერაქტიული გამოკითხვის საფუძველზე). ამის შემდგომ რესურსცენტრი ახდენდა შესაბამისი რესურსების (ორგანიზაციების, ექსპერტების) მოძიებას, მოწვევას და ღონისძიების ორგანიზებას. ტრენინგებსა და სემინარებზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდათ როგორც სამიზნე სათემო ცენტრების წევრებს, ასევე საქართველოში მოქმედ სხვა სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც. ინფორმაცია დაგეგმილ ღონისძიებებზე ვრცელდებოდა თემის განვითარების რესურსცენტრის ვებპორტალის და მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014 წელს ჩატარდა 13 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდა 43 სათემო ჯგუფის და ორგანიზაციის 200-მდე წარმომადგენელი.

### Community development resource center web-portal

In 2011, community development resource center successfully created its web-portal www.cdrc.ge. In addition, there is a community development resource center official Facebook page, where, similar to the web-portal, information is posted about the implemented interesting projects, announced competitions and current news.

It is important that community groups and organizations throughout the country are active users of the web-portal and the thematic Facebook page, regularly participating in the events organized by community development resource center.

### Seminars, consultations, trainings

The resource center offers interested organizations a series of consultations and trainings, as well as participation in seminars and workshops.

Topics for the seminars and trainings organized in 2014 were selected considering the interests and needs of the community groups (based on interviews and web-portal survey). Afterwards, the resource center was mobilizing respective resources (organizations, experts), inviting them and organizing the events. Seminars and trainings could be attended by members of target community centers as well as by representatives of other community groups and organizations operating in Georgia. Information about the planned events was being disseminated through the community development resource center's web-portal and the mentioned data-base.

In 2014, a total of thirteen trainings were held, in which up to 200 representatives of 43 community groups and organizations took part.

**ჩატარებული ტრენინგების თემატიკა იყო:**

- მონაწილეობითი ადვოკატირება;
- პროექტის დაგეგმვა და წერა (4 ტრენინ-გი);
- ბიზნესის დაგეგმვა (4 ტრენინგი);
- ადგილობრივი თვითმმართველობის გამ-ჭვირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და საბიუჯე-ტო პროცესებში (4 ტრენინგი).

აღნიშნულმა ტრენინგებმა ხელი შეუ-წყო მონაწილეთა უნარების განვითარებას, ცოდნის შეძენას მათთვის საჭირო და აქტუ-ალურ საკითხებზე, ასევე დაანახა მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები.

სათემო ჯგუფებისათვის და ორგანიზა-ციებისთვის ჩატარდა თემატური სემინარი, რომლზეც საუბარი იყო საქართველოში ადგ-ილობრივი თვითმმართველობების მიმდინ-არე გამოწვევებზე. სემინარის მსვლელობაში განხილული საკითხები გახლდათ: ადგილო-ბრივი თვითმმართველობის რეფორმის მი-მოხილვა; ადგილობრივ მმართველობაში მოქალაქეთა ჩართვის მექანიზმები; სოფლის განვითარების სახელმწიფო პროგრამა; ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები; მუნიცი-პალური შესყიდვები. ჩამოთვლილი თემების განსაკუთრებული აქტუა-ლურობა გამოწვეული იყო ადგილო-

**The trainings covered the following topics:**

- Participatory advocating;
- Project planning and writing (4 trainings);
- Business planning (4 trainings);
- Local Government transparency; citizens participation in decision making and budgeting processes (4 trainings).

The mentioned trainings helped build the participants' capacity, gave them knowledge about needed and relevant issues, and showed them opportunities of how to use this knowledge in the practice.

A thematic seminar was held for community groups and organizations discussing current challenges for the local self-governance in Georgia. The following issues were addressed: overview of the local self-governance reform; mechanisms for citizens engagement in local governance; rural development State program; local budget revenues and expenditures; municipal procurement. The listed topics were especially relevant due to the local elections.




















ბრივი არჩევნებით.

თემის განვითარების რესურს ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთობლივი შეხვედრები ერთი მხრივ ემსახურება სათემო ორგანიზაციებში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს სათემო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურებისა და თემის განვითარებით დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ერთმანეთში ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას.

2014 წელს მოეწყო კახეთის და სამეგრელოს რეგიონებში მომუშავე ქალთა სათემო ჯგუფების 4 ერთობლივი შეხვედრა:

სათემო ჯგუფების ლიდერი ქალბატონები შეხვდნენ საქართველოში მოქმედ ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორიცაა: კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, ელკანა, იურისტთა ასოციაცია, სათემო ორგანიზაცია «ლელი», ასოციაცია «ქსენონი», ჯვარის სათემო განათლების ცენტრი, ასოციაცია «ათინათი» და სამართლებლივი დაცვის ინსტიტუტი. ჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საკუთარი საქმიანობა და დაგროვილი გამოცდილება.

ასევე საკუთარი ბიზნესის წამოწყებით დაინტერესებული ქალბატონები შეხვდნენ წარმატებული ბიზნესის მქონე ქალბატონებს, რომლებმაც გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება ისეთ ბიზნეს სფეროებში როგორიცაა: ტაქსი გამოძახებით, ტკბილეულობის დამზადება და რეალიზაცია, საინფორმაციო სერვისი ტურისტებისთვის, ყველის წარმოება და რეალიზაცია, საოჯახო სასტუმრო, სასათბურე მეურნეობა, საბანკეტო მომსახურება, სილამაზის სალონი და ა.შ.



On the one hand, joint meetings, organized by Community Development Resource Center were intended for sharing the gained experience, and, on the other hand - were promoting information exchange and establishment of partnership relationships between community organizations, government agencies and organizations interested in community development issues.

In 2014, four joint meetings of women's community based organizations from Kakheti and Samegrelo were held.

Female leaders of community groups met with such strong civil society organizations in Georgia, as: Network of Caucasian Environment Protection NGOs; Elkana, Association of lawyers; Community organization Leli; Association Xenon, Jvari community education center; Association Atinati; and Institute for Legislative Defense. The listed organizations shared with the participants their activities and experience.

„მთელი წლის განმავლობაში პროგრამის ექსპერტები სათემო ცენტრებს მუდმივად უწევდნენ კონსულტაციებს და ატარებდნენ სამუშაო შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: ორგანიზაციის რეგისტრაცია, ფინანსური ანგარიშგება, პროექტის მომზადება, ანგარიშგებისა და მართვის საკითხები, თვითშეფასება, დაგეგმვა, საინიციატივო ჯგუფის გაძლიერება, სათემო ჯგუფების ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, სხვადასხვა უწყებებისთვის პრეზენტაციების ორგანიზება, მინიციპალიტეტებთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობა, ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგი, ბიზნეს გეგმის შედგენა და სხვა.

## სამიზნე სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების გაძლიერება

თემის განვითარების პროგრამამ 2014 წელს გააგრძელა წინა წლებში პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული 7 აქტიური სათემო ცენტრის მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა მათ უკეთ შეძლონ სოფლის ინტერესების წამოწევა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მათი ლობირება. გარდა ამისა, 2013 წელს ”საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა” დაიწყო ახალი პროგრამის - ”ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის”- განხორციელება, რომლის მნიშვლელოვან კომპონენტი გახლდათ ლიდერ ქალთა ჯგუფების ფორმირება და გაძლიერბა.

შესაბამისად თემის განვითარების პროგრამის საქმიანობის გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა და კახეთის რეგიონს დაემატა სამეგრელოს რეგიონი და ახლადჩამოყალიბებული 22 ქალთა სათემო ჯგუფი. ჯამში 2014 წელს პროგრამის სამიზნე სათემო ჯგუფისა და ორგანიზაციის რაოდენობამ შეადგინა 29 (7 ძველი და 22 ახალი). პროგრამის დაფარვა კი გახლდათ სამი რეგიონი: კახეთი, გურია და სამეგრელო.

Also, women, that are interested in starting their business had a meeting with successful businesswomen to share their experience is such areas, as: taxi on call; making and selling sweets; information service for tourists; cheese production and selling; family hotel; green house nursery; festivity arrangement service; beauty salon; etc.

During the whole year, the program experts were constantly providing consultations to community centers and holding workshops on such topics, as: registering an organization; financial reporting; project preparation; reporting and management issues; self-evaluation; planning; strengthening of initiative groups, planning and carrying out joint events of community centers; organizing presentations for various agencies; participation in public councils at the municipalities; local budget monitoring; preparation of business plan; and other issues.

## Strengthening of the target community groups and organizations

In 2014, community development program continued an activity that had started under the program in the previous years - support and strengthening of seven active community centers in order to help them better emphasize village interests and to lobby them with the local government. Besides, in 2013, CSRDG started implementing a new program - Strengthening the Women for Changes. An important component of the program was formation and strengthening of women's groups.

Accordingly, geographic area of the program activity has widened, adding newly created 22 women's community groups in Samegrelo region to already existing groups in Kakheti. Overall, in 2014, the number of the program target community groups and organizations made 29 (7 old and 22 new ones), and the program was covering three regions: Kakheti, Guria and Samegrelo.

## მიკროგრანტების პროგრამა

**2014 წელს პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა ორი კონკურსი:**

1.კახეთის და სამეგრელოს რეგიონებში მოქმედი სამიზნე 22 სათემო ჯგუფისთვის გამოცხადდა დახურული კონკურსი, რომელიც გულისხმობდა ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაზე მიმართული პროექტების შედგენას. კონკურსის შედეგად დაფინანსდა 14 სათემო ორგანიზაციის პროექტი (დაწვრილებით იხ. დანართი 3).

რვავე მუნიციპალიტეტში 14 პროექტი წარმატებით განხორციელდა, 2014 წლის ბოლოს მოეწყო სხვადასხვა ობიექტების საზეიმო გახსნის ცერემონიები და პრეზენტაციები.

## Micro-grants program

**Two competitions were announced under the program in 2014:**

1.A closed competition was announced for 22 target community groups operating in Kakheti and Samegrelo, aimed at the development of projects to solve local problems. Projects of 14 community organizations got funding as a result of the competition (for more details see Annex N3).

14 projects were successfully implemented in all eight municipalities. In the end of 2014, opening ceremonies of various sites were held, as well as presentations.

დიაგრამა 1
Chart 1

**სათემო ცენტრების დაფინანსების წყაროების რანჟირება**
**Ranking of community centers funding sources**




საერთო ბიუჯეტი – 134 595 ლარი
გაეროს განვითარების პროგრამა/სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი – 87 681 ლარი/65%
თემი – 18 256 ლარი/14%
ადგილობრივი თვითმმართველობა – 21 502 ლარი/16%
სხვა – 7 255 ლარი/5%

Total budget – 134 595 GEL
UN Development Program / CSRDG – 87 681 GEL/65%
Community – 18 256 GEL/14%
Local government – 21 502 GEL/16%
Other – 7 255 GEL/5%

2. 2014 წლის ბოლოს პროგრამის ფარგლებში მეორე კონკურსიც გამოცხადდა. იგი მიმართული იყო სათემო ორგანიზაციების ინსტიტუციურ განვითარებაზე. და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოში მოქმედ ნებისმიერ სათემო ორგანიზაციას. კონკურსის შედეგად შემოვიდა 24 საპროექტო განაცხადი, რომელთა შორის ორი გამარჯვებული გამოვლინდა. 2015 წელს გამარჯვებული სათემო ორგანიზაციები პროექტების ფარგლებში მიიღებენ მათ ორგანიზაციულ გაძლიერებაზე მიმართულ ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

წინა წლებში პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული 7 ძველი სამიზნე სათემო ორგანიზაციის გაძლიერება კი კვლავ გულისხმობდა მიმდინარე მცირე ფინანსური ხარჯების დაფარვასა და ტექნიკურ მხარდაჭერას (კონსულტაციები და ტრენინგები). ხსენებული სათემო ცენტრების მცირე ფინანსური მხარდაჭერა მიმართული იყო მათი მომსახურების შენარჩუნებაზე. იგულისხმება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ისეთი სერვისის გაწევა როგორიცაა: სახელობო/პროფესიული კურსები, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კომპიუტერული/ინტერნეტ მომსახურება და პრობლემების გადაჭრაზე მიმართული ინტერესთა დაცვა.

წლის დასაწყისში სათემო ცენტრებისთვის პროგრამის ექსპერტების მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად მომზადდა მათი საქმიანობის ერთწლიანი სამოქმედო პროგრამები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მოსახლეობის ინტერესების დაცვის და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხებს. იგულისხმება ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირება, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მათ წარმოჩენა, მათ გადაჭრაზე საჭირო თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინების ხელშეწყობა და სათემო ორგანიზაციების მხრიდან პრობლემების მოგვარებაზე მიმართული შესაბამისი ქმედებების მონიტორინგის წარმართვა.

2. In the end of 2014, another competition was announced within the program, directed at institutional development of community organizations. Any community organization operating in Georgia could take part in the competition. 24 project proposals were submitted, out of which, two projects were declared winners. In 2015, under the projects, the winner community organizations will receive financial and technical support for strengthening their organizations.

Strengthening of the seven target community organizations created under the program in the previous years again implied to covering small ongoing financial expenses and providing technical support (consultations and trainings). Small financial assistance for the mentioned community centers was directed at maintaining the services they provide to the local public, such as: vocational courses; holding sports and cultural events; computer/internet services; and activities in problem solving advocacy.

In the beginning of the year, as a result of consultations and workshops held by program experts for community centers, a yearly action plan of the centers was developed, giving a special emphasis to such issues as protection of population interests rights and cooperation with the local government. This means, to identify local problems, present them to the local authorities, promote allocation of funds in the local budget for solving those problems, and carry out monitoring of respective actions undertaken by community based organizations for tackling the problems.

## სათემო ცენტრების საქმიანობის შეფასება

წლის ბოლოს სათემო ცენტრებს ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრები, განხორციელებული საქმიანობის შეფასებაზე მათი პროგრამული ინდიკატორებისა და შესრულებული საქმიანობების ხარისხის გათვალისწინებით.

შიდა შეფასებამ სათემო ცენტრების საქმიანობის მაღალეფექტიანობა და სტაბილური განვითარების მზარდი ტენდენცია აჩვენა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ:

## Evaluation of community centers activities

In the end of the year, workshops were held for community centers, considering their program indicators about the implemented activities and the quality of the accomplished work.

Conducted internal evaluation showed high effectiveness of the activities of community centers and a growing trend of stable development. The following facts indicated to this:

**სათემო ცენტრებმა დამოუკიდებლად, პროგრამის დახმარების გარეშე, განახორციელეს 18 ინიციატივა. ამაში იგულისხმება სხვა ფონდებიდან და მუნიციპალიტეტებიდან პრობლემების გადასაჭრელად მოპოვებული დაფინანსება.**

**COMMUNITY CENTERS ACCOMPLISHED 18 INITIATIVES INDEPENDENTLY, WITHOUT ANY SUPPORT FROM THE PROGRAM. THIS REFERS TO THE FUNDING ATTRACTED FROM OTHER FOUNDATIONS AND MUNICIPALITY BUDGETS FOR SOLVING LOCAL ISSUES.**

სათემო ცენტრები ყოველწლიურად ათეულობით ადგილობრივ პრობლემას აგვარებენ მათი მუნიციპალიტეტებთან პროაქტიური თანამშრომლობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გზით.

Each year, community centers solve tens of local problems by means of their proactive cooperation with the municipalities and active involvement in decision making processes.

**პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული და გაძლიერებული სათემო ცენტრების ძალისხმევით 2014 წელს 29 სამიზნე თემში სათემო ცენტრების მიერ გადაიჭრა 100 ადგილობრივი პრობლემა.**

**WITH THE EFFORTS TAKEN BY COMMUNITY CENTERS ESTABLISHED AND STRENGTHENED UNDER THE PROGRAM FRAMEWORK, IN 2014, COMMUNITY CENTERS WERE ABLE TO SOLVE 100 LOCAL PROBLEMS IN 29 TARGET COMMUNITIES.**

მნიშვნელოვანია, რომ სათემო ცენტრები სხვა ორგანიზაციების პროექტებსა და პროგრამებთან თანამშრომლობით ურთიერთობებს ამყარებენ და მათთვის დასაყრდენი ხდებიან. მაგალითად: "კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება" რამოდენიმე წელია ახორციელებს პროგრამას, რომელიც სოფლებში

It is important that, by cooperation with other projects and organizations, community centers establish relationships with those organizations and become their reliable partners. For example: Association for Spreading Computer Skills has been implementing a program for

“სოფლის კომპიუტერული მომსახურების” ცენტრების ჩამოყალიბებას გულისხმობს. «საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის» რეკომენდაციით აღნიშნულმა პროგრამამ ჩვენ სამიზნე სოფლებში (კერძოდ: თორსა, უდაბნო და სამიქაო) დაარსებული ქალთა საინიციატივო ჯგუფების ბაზაზე მოაწყო კომპიუტერული ცენტრები.

already several years aimed at creating Village Computer Service centers. Based on CSRDG recommendation, the program created computer centers on the basis of women’s initiative groups that operate in our target villages (Torsa, Udabno and Samikao).

**გარდა ამისა, ძალიან საინტერესო თანამშრომლობა შედგა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სათემო ცენტრსა და სპორტისა და ახალგაზრდობის მუნიციპალურ სამსახურს შორის, რომელმაც არა მარტო დააფინანსა იმ მოქმედი სათემო ჯგუფების კულტურული და სპორტული ღონისძიებები, არამედ დაასაქმა მათი ერთი წევრი.**

**BESIDE THIS, A VERY INTERESTING COOPERATION TOOK PLACE BETWEEN LAGODEKHI MUNICIPALITY’S COMMUNITY CENTER AND THE YOUTH MUNICIPAL SERVICE. THIS AGENCY NOT ONLY PROVIDED FUNDING FOR CULTURE AND SPORTS EVENTS ORGANIZED BY THE COMMUNITY CENTER, BUT ALSO HIRED ONE OF ITS MEMBERS.**

## ქვეპროგრამა — საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

***პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება, რომ მათ უფრო ეფექტიანად მოაგვარონ თავიანთი სამიზნე ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, სოციალურ საწარმოებში მათი დასაქმება/ინეგრაციის და სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით.***

დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის მიერ შემუშავებული სტრატეგია არის, სოციალური მეწარმეობის განვითარება საქართველოში და დაინტერესებული ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ტექნიკური დახმარება (ტრენინგები, კონსულტაციები), ინფორმაციული მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

### სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში 2014 წელს გაცემული მიკროგრანტები, ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები მიზნად ისახავდა სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებას და მიმართული იყო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობისა და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ, ხოლო მათი ინფორმაციული მხარდაჭერა ხორციელდებოდა ვებპორტალის, ელექტრონული საინფორმაციო დაგზავნებისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

სოციალური მეწარმეობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისთვის, პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული, «სოციალური მეწარმეობის ცენტრი» სერვისების მიმწოდებელი ერთ-ერთი ძირითადი რესურსი გახდა.

### ტრენინგები სოციალური მეწარმეობის საკითხზე:

2014 წელს სოციალური მეწარმეობის საკითხზე თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ სემინარებსა და ტრენინგებს დაესწრო 322 მონაწილე.

## SUB-PROGRAM – THE DEVELOPMENT OF CIVIL SOCIETY ORGANISATIONS

***The program goal is to strengthen civil society organizations working with socially vulnerable groups, in order to help them in finding more effective solutions to social and economic problems of their target groups, by assisting them in employment/integration in social enterprises and promoting inter-sectoral cooperation.***

The program strategy to accomplish the target goal is: development of social enterprising in Georgia and provision of technical assistance (training, consultations) to the interested Georgian civil society organizations, as well as helping with information support and improvement of accessibility to financial resources.

### Promotion for the development of social enterprising

The micro-grants issued in 2014 within the frameworks of the Program, and the organized trainings and consultations were aimed at organizational strengthening of CSOs interested in social enterprising and directed at improving their financial sustainability and management processes. Information support was provided through the web-portal, electronic newsletters and social media.

Social Enterprising Center established within the program has turned into one of the main resources to provide services to organizations operating in the field of social enterprising.

### Training on Social Enterprising:

In 2014, trainings and seminars on social enterprising held in Tbilisi and regions were attended by 322 participants.









ტრენინგები და სემინარები მორგებულია სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებსა და საჭიროებებზე და განკუთვნილია სოციალურ მეწარმეებისთვის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებისთვის, სტუდენტებისთვის, ჟურნალისტებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის.

ჟურნალისტებისთვის მომზადდა სოციალური მეწარმეობის შესავალი კურსი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ჟურნალისტების როლზე სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციაში, ამ მხრივ არსებულ გამოცდილებზე და მათთვის საინტერესო საინფორმაციო რესურსებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობისთვის შემუშავდა კურსი «ადგილობრივი თვითმმართველობა და სოციალური მეწარმეობა», რომლის მთავარი ამოცანა გახლდათ ადგ-

The trainings and seminars are tailored to the interests and needs of various stakeholders and are designed for social entrepreneurs, civil society organizations, students, journalists and representatives of self-governments.

An introductory course to social enterprising was prepared for journalists, drawing the attention towards journalists’ role in the popularization of social enterprising, the existing experience and resources of their interest.

A course “Local Governance and Social Enterprising” was developed for local governments. The main goal of the course was to present social enterprises to local governments as to providers of social services, and address the forms of support to social enterprises with the







ილობრივი თვითმმართველობებისთვის სოციალური მეწარმეების სოციალური სერვისების მიმწოდებლებად წარმოჩენა, ასევე ქართული საკანონმდებლო სივრცის გათვალისწინებით სოციალური საწარმოების მხარდაჭერის ფორმებზე საუბარი.

### კონსულტაციები სოციალური მეწარმეობის საკითხზე

წლის განმავლობაში ცენტრის ექსპერტები კონსულტირებას უწევდნენ, როგორც ზოგადად სოციალური მეწარმეობის საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს (ზოგადი კონსულტაციები), ასევე იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ სურვილი წამოიწყონ კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობა, ან უკვე ეწევიან მას (ინდივიდუალური კონსულტაციები). 2014 წელს საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 23 საზოგადოებრივ და დაინტერესებულ პირს. კონსულტაციები ეხებოდა ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობაში წამოჭრილ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: ბიზნესგეგმის შედგენა, მარკეტინგი, ფინანსების მართვა, გადასახადები და ა.შ. აღნიშნულ კონსულტაციებს მოყვა რეალური შედეგები, კერძოდ:

### საინფორმაციო-ანალიტიკური ვებპორტალი

დღეისათვის საქართველოში სოციალური მეწარმეობის საკითხზე ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი საინფორმაციო ვებრესურსი არის პორტალი www.segeorgia.org . 2014 წელს

consideration of the existing legislative environment.

### Consultations on social enterprising

During the year, CSRDG experts were consulting various organizations interested in social enterprising (general consultations), as well as those that are willing to start specific economic activity, or are already operating in this area (individual consultations). In 2014, consultation services were provided to 23 public organizations and individuals, addressing various relevant issues that arise in the organizations economic activity, such as: business plan development developing; marketing; finance management; taxes; etc. The consultations brought specific results, namely:

### Information-analytical web-portal

Currently, www.segeorgia.org is one of the most complete information web-resources

ცენტრმა დაინტერესებულ პირებს შესთავაზა განახლებული პორტალი, რომელზეც განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია ქართულ სოციალურ საწარმოებზე, მათ პროდუქციაზე და სერვისებზე, და სფეროში მიმდინარე სიახლეებზე.

ასევე, საგრძნობლად იმატა ფეისბუკზე შექმნილი სოციალური მეწარმეობის სპეციალიზებული გვერდის მომხმარებელთა რიცხვმა. ვებპორტალის მსგავსად, აქ განთავსებულია ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებსა და მიმდინარე სიახლეებზე.

## საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების ქსელური საქმიანობის ხელშეწყობა

2014 წლის ბოლოს, თბილისის მერიასთან და "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან" თანამშრომლობით "სოციალური მეწარმეობის ცენტრმა" გამართა ქართული სოციალური საწარმოების ყოველწლიური ერთობლივი შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდა 80-მდე სოციალური საწარმოს ლიდერი, სოციალური მეწარმეობის განვითარების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების, ბიზნეს

available in Georgia on social enterprising. In 2014, CSRDG offered the stakeholders an updated web-portal that contains detailed information on Georgian social enterprises, their production and services, and on the sector news.

Besides, the number of customers of a special Facebook page on social enterprising has increased considerably. Similar to the web-portal, the page presents information on the initiatives and on current news in this field.

## Promotion of network activity of social enterprises operating in Georgia

In the end of 2014, in cooperation with Tbilisi City Hall and the Eurasia Partnership Foundations, Social Enterprising Center held an annual meeting of Georgian social enterprises, which was attended by leaders of about 80 social enterprises, organizations acting in the respective field, business companies and representatives of Tbilisi City Hall.












კომპანიების და თბილისის მერიის წარმომადგენლი.

რიგით მესამე ერთობლივი შეხვედრა გამოირჩეოდა წინა წლების შეხვედრებისგან ბიზნესის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა განსაკუთრებით აქტიური ჩართულობით. შეხვედრაზე შეჯამდა სოციალური მეწარმეობის განვითარების 2014 წლის ტენდენციები, დამსწრე აუდიტორიას საკუთარი წარმატებული საქმიანობა გააცნო ორმა სოციალურმა საწარმომ, განხილული იყო «საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის» იურისტის მიერ შემუშავებული სოციალური მეწარმეობის კანონპროექტი, ასევე თბილისის მერმა, ბიზნესის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულებით სექტორებს შორის უკვე არსებულ პარტნიორობაზე და სამომავლო თანამშრომლობის ფორმებზე.

სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის მიმართულებით «საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი» აქტიურად მუშაობს ქ. თბი-

The third joint meeting was distinguished from the preceding ones by an especially active involvement of representatives from the business sector and the municipality. In the meeting, social enterprising development trends of 2014 were summarized; two social enterprises presented their successful activities to the audience; and a draft law prepared by CSRDG lawyer was discussed. In addition, the Mayor of Tbilisi and representatives of business- and civil society organizations discussed existing inter-sectoral cooperation in the development of social enterprising and the forms of future cooperation.

For the popularization of social enterprising, CSRDG is actively working with Tbilisi City Hall. The first such successful cooperation was in the fall of 2014. The fare organized by Tbilisi City Hall for Tbilisoba-2014 widely presented production of Georgian social enterprises. Income from very successful sales at the fare made GEL 4800.









ლისის მერიასთან. ამ მხრივ 2014 წელს პირველი წარმატებული თანამშრომლობა შედგა შემოდგომაზე. ქ. თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ გამოფენა-გაყიდვაზე - «თბილისობა 2014» - ფართოდ წარმოდგენილი იყო ქართული სოციალური საწარმოების პროდუქცია, რომელიც ძალიან კარგად გაიყიდა და გაყიდვებიდან შემოსულმა თანხამ მთლიანობაში შეადგინა 4800 ლარი.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ქ.თბილისის მერიის მხარდაჭერით და თანამონაწილეობით «ცენტრმა» წლის ბოლოს მოაწყო ქართული სოციალური საწარმოების ყოველწლიური ერთობლივი შეხვედრა.

## მიკროგრანტები სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე

სოციალურად დაუცველი ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირების და დასაქმების მიზნით პროგრამა გასცემს მიკროგრანტებს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უკვე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას ან აქვთ მსგავსი აქტივობის წამოწყების სურვილი.

2014 წელს პროგრამამ დააფინანსა ახალი სოციალური საწარმო «ბაბალე». «ბაბალე» აწარმოებს ხის სუვენირებს, სათამაშოებს და აქსესუარებს. საწარმოს სოციალური მიზანია დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების დასაქმება.

Besides, as already mentioned, with the support and cooperation from Tbilisi City Hall, at the end of the year CSRDG organized an annual joint meeting of Georgian social enterprises.

## Micro-grants for the development of social enterprising

The Program issues micro-grants aimed at helping socially vulnerable people integrate into the society and get employment. The micro-grants are given to those civil society organizations that are already engaged in economic activity or are willing to start it.

In 2014, the Program funded a new social enterprise Babale, that makes wood souvenirs, toys and accessories. Social goal of the enterprise is to give jobs to people with Down syndrome.

In 2013, Abkhazintercont foundation established a greenhouse Agrodealer within the grant competition of the Program. Giving jobs to internally displaced persons, the enterprise helps improve economic condition of IDP






სასათბურე მეურნეობა «აგროდილერი» – 2013 წელს პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დააფუძნა ფონდმა ,,აფხაზინტერკონტი”. 470 კვადრატული მეტრის ფართობზე მოწყობილია სასათბურე მეურნეობა. საწარმო ასაქმებს იძულებით გადაადგილებულ პირებს, რაც მათ ოჯახებს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესესბის შესაძლებლობას აძლევს. საწარმომ წარმატებით გააგრძელა ფუნქციონირება და 2014 წელს საწარმოში ხელობა შეასწავლეს და დაასაქმეს 4 იძულებით გადაადგილებულ პირს.

სოციალური საწარმო ხმის ჩამწერი სტუდია «ჰერა» 2012 წელს დააფუძნა აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირმა. საწარმოს ძირითადი მიზანია უსინათლო ბენეფიციარების ინფორმაციით და სხვადასხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფა. საწარმოს პროდუქციაა აუდიო წიგნები, რომლებიც გამოდის ჩ და V დისკების სახით. სტუდიას გაყიდვების ზრდის მიზნით ესაჭიროებოდა გარკვეული მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, რისთვისაც 2014 წელს მან პროგრამიდან მიიღო მცირე გრანტი.

families. The enterprise successfully continued its operations and in 2014, four IDPs were trained and employed.

Social enternrise Hera - a sound recording studio was established in 2012 by Abkhazia Union of Deaf-blind People. The main goal of the enterprise is to provide its blind beneficiaries with information and various types of literature. The enterprise produces audio books that are printed as CD and DVD options. In order to increase its sales, the studio needs some type of marketing support. For this purpose, in 2014 the studio got a small grant from the Program.



**2014 წელს პროგრამის ფარგლებში გაცემული მიკროგრანტების, ჩატარებული ტრენინგების და კონსულტაციების შედეგად საკუთარი ფინანსური და ორგანიზაციული მდგომარეობა გაიუმჯობესა 8 სოციალურმა საწარმომ. პროგრამის მიერ 2014 წელს მხარდაჭერილ სოციალურ საწარმოებში დასაქმებულია 18 ადამიანი, რომლებიც ნაკლებად კონკურენტული ჯგუფების წარმომადგენლები არიან. სოციალურ საწარმოებში მათი დასაქმება საკუთარი შემოსავლის მიღებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას აძლევს.**

**IN 2014, AS A RESULT OF THE MICRO-GRANTS AND THE TRAININGS AND CONSULTATIONS DELIVERED WITHIN THE PROGRAM, EIGHT SOCIAL ENTERPRISES IMPROVED THEIR FINANCIAL AND ORGANIZATIONAL CONDITIONS. 18 PEOPLE, REPRESENTING LESS COMPETITIVE SOCIAL GROUPS, ARE EMPLOYED IN THE SOCIAL ENTERPRISES SUPPORTED BY THE PROGRAM. EMPLOYMENT IN SOCIAL ENTERPRISES ENABLES THEM TO HAVE THEIR INCOME AND GIVES THEM AN OPPORTUNITY FOR INTEGRATION IN THE SOCIETY.**

## სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია

ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი სითამამე, მოქნილობა, ინოვაციური იდეების ტრანსფორმირება, ენერგიულობა ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული სოციალური მეწარმეობის სფეროში. სწორედ ამიტომ, 2012 წლიდან პროგრამა აქტიურად მუშაობს ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციაზე და მათ მიერ სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე. 2012 წლიდან „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან“ პარტნიორობით აწყობს ყოველწლიურ კონკურსს ,,სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად”, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.



## Popularization of the Concept of Social Enterprising

Youth-characteristic boldness, flexibility, transformation of innovative ideas, energetic approach are extremely important for newly established Georgian social enterprises. That is why, since 2012, the Program has been actively working for the popularization of social enterprising among the youth and for assisting them to establish social enterprises. Since 2012, in cooperation with Eurasia Partnership Foundation, CSRDG has been organizing an annual contest Students for the Support of Social Enterprising, where students from various universities of Tbilisi take part.











2014 წლის გაზაფხულზე ჩატარდა შემაჯამებელი უნივერსიტეტთაშორისი კონკურსი - “სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2013-2014” , რომელზეც 4 მოასპარეზე უნივერსიტეტის სტუდენტურ გუნდებში გამოვლინდა სოციალური საწარმოს პრობლემის მოგვარებაზე მიმართული საუკეთესოდ შესრულებული პროექტი, ასევე ახალი სოციალური საწარმოს დაფუძნების საუკეთესო ბიზნეს გეგმა.პროექტების შეფასებისას კონკურსის ჟიური ხელმძღვანელობდა ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: სოციალური საწარმოს ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე ახალგაზრდების მიერ შემუშავებული მიდგომების ინოვაციურობა და კრეატიულობა. მთავარი ჯილდოების გარდა კონკურსზე ასევე იყო წამახალისებელიც. გუნდები კონკურსზე სულ 4 ნომინაციაში დაჯილდოვდნენ, კერძოდ:

- გრანპრი;
- საუკეთესო ბიზნეს გეგმა;
- ყველაზე გუნდური შესრულება;
- წარმატებული ივენთ-მენეჯმენტი.

კონკურსის ბიზნეს-პარტნიორებმა კომპანია “ჯეოსელმა” და თბილისის მერიამ, ასევე

In the spring of 2014, a summarizing inter-university contest - Students for the Support of Social Enterprising 2013-2014 - was held. The contest identified the best plans to solve problems of social enterprising among four contesting university teams, as well as the best business plan to establish a new social enterprise. For project evaluation, the contest jury took into consideration the following criteria: improvement of financial and social conditions of a social enterprise, innovativeness and creativeness of approaches developed by youth. Beside the main prizes, the contest also offered stimulation awards. Teams were awarded in four nominations, namely:









კონკურსის მხარდამჭერმა კომპანიებმა "თიბიეს ქონსალთინგმა", "ალიანს ჰოლდინგ ჯგუფმა" და "ვისოლმა" ყველა მონაწილესთვის დააწესეს სხვადასხვა ჯილდოები.

საუკეთესო ბიზნეს გეგმის ნომინაციაში გამარჯვებული გუნდის პარტნიორმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისგან" მიიღო დაფინანსება ახალი სოციალური საწარმოს დაფუძნებაზე.

- The Grand Prix;
- The best business plan;
- The best team work;
- Successful event management.

Business partners of the competition - Geocell and Tbilisi City Hall - as well as supporter companies - Tbilisi Consulting, Alliance Holding Group, and Wissol - had different prizes for all contestants.

Partner SCO of The best business plan nomination winner got funding from Eurasia Partnership Foundation to establish a new social enterprise.

**ყოველწლიურ სტუდენტურ კონკურსებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ სოციალური საწარმოების განვითარებაში. კონკურსში - "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2013-2014" - მონაწილეობა მიიღო 150-მა სტუდენტმა, აქედან 12 სტუდენტი მოხალისეობრივ საწყისებზე აქტიურად ჩაერთო 3 სოციალური საწარმოს მარკეტინგული პრობლემების მოგვარებაში. სტუდენტების მიერ შემუშავებული პროექტების განხორციელების საწყის ეტაპზე ჩატარებულმა მარკეტინგულმა ღონისძიებებმა პირველივე თვეებში გაზარდა სოციალური საწარმოების გაყიდვები და მოუტანა დამატებითი მოგება.**

**ANNUAL STUDENT CONTESTS MAKE THEIR CONSIDERABLE CONTRIBUTION IN THE DEVELOPMENT OF SOCIAL ENTERPRISING. 150 STUDENTS PARTICIPATED IN "STUDENTS FOR THE SUPPORT OF SOCIAL ENTERPRISING 2013-2014" CONTEST. OUT OF THOSE, 12 STUDENTS VOLUNTEERED TO GET ACTIVELY INVOLVED IN SOLVING MARKETING RELATED PROBLEMS OF THREE SOCIAL ENTERPRISES. MARKETING ACTIVITIES CARRIED OUT DURING THE INITIAL STAGES OF PROJECTS DEVELOPED BY THE STUDENTS INCREASED SALES OF SOCIAL ENTERPRISES EVEN IN THE VERY FIRST MONTHS AND GENERATED ADDITIONAL INCOME.**

## პროგრამა – კარგი მმართველობის ხელშეწყობა

***პროგრამის მიზანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მმართველობის გაუმჯობესება, აგრეთვე მთავრობის მიერ მოსახლეობის საჭიროებებისა და რეალური პრობლემების უფრო ეფექტიანი გათვალისწინება.***

სტრატეგია შემუშავებულია პროგრამის ექსპერტების მიერ „ცენტრის“ კვლევით საქმიანობაზე დაყრდნობით, ასევე საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილების გათვალისწინებით და გულისხმობს სამთავრობო სტრუქტურების პოლიტიკის ანალიზს, საჯარო განხილვასა და მონიტორინგს.

პროგრამა მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით, რომელთა ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ორი ქვეპროგრამა: კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა; თვითმმართველობის განვითარება.

## თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა

***პროგრამის მიზანია სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხელი შეუწყოს ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას და საბიუჯეტო პროგრამებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მაქსიმალურ ასახვას.***

გასათვალისწინებელია, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ამოქმედდა ახაი თვითმმართველობის კოდექსი და მის საფუძველზე შეიქმნა დამატებით 7 ახალი თვითმმართველი ქალაქი. აღნიშნული 7 თვითმმართველი ქალაქიდან 2, ქალაქი ოზურგეთი და ქალაქი თელავი, შედის პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტების არეალში, შესაბამისად გაიზარდა პროგრამის მოცულობა და დატვირთვა.

### ქსელური საქმიანობა – თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი

თვითმმართველი ერთეულების მონიტორ-

## PROGRAM – THE PROMOTION OF GOOD GOVERNANCE

***The program goal is to improve good governance on the national and local levels, as well as to ensure more effective consideration of the public needs and real problems by the Government.***

The strategy has been developed by program experts based on CSRDG research activity, as well as by considering our experience in cooperation with the legislative and Governmental bodies, and implies analysis, public discussion and monitoring of Government policies.

The program covers both the national and local levels and has two main directions, under which, to ensure proper activities, two sub-programs are being implemented: research and promotion of reforms; the development of self-governance.

## SUB-PROGRAM: DEVELOPMENT OF SELF-GOVERNANCE

***The program goal is to support transparency of the local budgetary processes in the target municipalities and help maximally represent the needs of local residents in the budgetary programs.***

It should be noted, that after the 2014 local elections, a new Self-Governance Code was enacted and based on it, additionally seven new self-governed cities were created. Out of those, two cities - Ozurgeti and Telavi - are among the Program target municipalities. Thus, the Program volume and load has increased.

### Network Activity - Monitoring of Self-Governed Entities

Monitoring of self-governed entities is carried out in Telavi, Lagodekhi, Sighnaghi, Kvareli, Sagarejo, Ozurgeti, Chokhatauri, Abasha,

ინგი ხორციელდება თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ყვარელში, საგარეჯოში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, აბაშაში, მარტვილში, სენაკსა და ხობში. დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის სტრატეგიას წარმოადგენს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ნორმების შესრულების მონიტორინგი. პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობები დაფარულია სამოქალაქო მონიტორინგის ქსელით, რომლის საქმიანობაშიც „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ კოორდინირებით ჩართულია კახეთის, გურიის და სამეგრელოს რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციები. თელავში პროგრამის საქმიანობას „ცენტრის“ თელავის ბიურო წარმართავს.

პროგრამის მრავალწლიანი საქმიანობის შედეგად სამიზნე მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესი, გაიზარდა თვითმმართველობის ორგანოთა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა. აღნიშნული პოზიტიური ცვლილებების მიღწევა შესაძლებელი გახდა თვითმმართველ ერთეულებთან მუშაობის კომბინირებული მიდგომის გამოყენება. იგულისხმება ერთი მხრივ, თვითმართველობების საქმიანობის მონიტორინგი, ხოხლო მეორე მხრივ, გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით პროგრამის ექსპერტების მიერ თვითმმართველობების კონსულტირება და მათთვის რეკომენდაციების შემუშავება.

### გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება – მიღწეული შედეგები

სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, თვითმმართველი ერთეულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და კარგი მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით, შეიმუშავა საკრებულოს გამჭვირვალობის 16 სპეციალური კრიტერიუმი. 2014 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, პროგრამა 8 კრიტერიუმის მონიტორინგს ახორციელებდა, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან საზოგადოებრივი საბჭოების არსებობა;

Martvili, Senaki and Khobi. In order to accomplish the goal, the Program strategy is to monitor the budgetary processes and compliance with the norms of legislatively required transparency in the mentioned municipalities. Activities to be carried out within the Program are covered by the civil monitoring network. Under the coordination of CSRDG, local civil society organizations and community based organizations of Kakheti, Guria and Samegrelo are involved in the activities of the Network, while Program activities in Telavi are implemented by the CSRDG Telavi bureau.

Resulting from the Program multi-year activities, local budgetary process has considerably improved in the target municipalities, and transparency of self-governed agencies, as well as accountability and citizen participation have increased. Accomplishment of the mentioned positive changes has become possible using a combined approach of work with self-governed entities. This means, on the one hand, monitoring of the self-government activities, and, on the other hand, consulting the self-governments by the Program experts and developing recommendations for them in order to eradicate the revealed drawbacks.

### Transparency and Accountability - Achieved Results

For the sake of monitoring the transparency and accountability of the self-governed entities, on the basis of the Georgian legislation and considering good governance principles, the Civil Monitoring Center developed 16 special criteria of the Sakrebulo transparency. Similar to the previous years, in 2014 as well, the Program carries out monitoring of 8 criteria, namely:

- Existence of civil councils at the municipality Sakrebulos;
- The number of public discussions held on is-

- საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებზე გამართული საჯარო დისკუსიების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ გასვლითი სესიების ორგანიზება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგი სხდომების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების კომისიების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;
- საკრებულოს წევრებისა და თანამდებობის პირების ანგარიშგება;
- მუნიციპალიტეტების ვებგვერდების ინფორმატიულობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად საზოგადოების დროული ინფორმირება.

თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა სარეკომენდაციო წინადადებები და მათი შესრულების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც, მედია აქტივობებთან ერთად, ითვალისწინებდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო და საკოორდინაციო შეხვედრებს; საკრებულოსა და მისი კომისიების მუშაობაში ქსელის ექსპერტთა ჩართულობას; სათემო ორგანიზაციების მობილიზებას და სხვ.

sues especially important for the public;

- Organization of field sessions by representatives of the municipality;
- Delivering timely information to the public about scheduled sessions of the representative bodies;
- Delivering timely information to the public about committees of the representative bodies;
- Accountability of Sakrebulo members and other officials;
- Informativeness of the municipality websites;
- Delivering timely information to the public on the decision making processes.

Recommendations and action plans to ensure their accomplishment were prepared for each target municipality. Along with Media activities, following actions were suggested: conducting consultative and coordination meetings with representatives of local governments; engaging Network experts in the work of Sakrebulo and its committees; mobilization of community based organizations; etc.

**2014 წელს სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის მიერ, სამიზნე მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდის მიზნით, შემუშავებული იყო 94 რეკომენდაცია, რომლიდანაც 64 გათვალისწინებული იყო. შედეგად:**

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაიხვეწა ამხანაგობების რეგისტრაციასა და მათ მხარდაჭერაზე გათვალისწინებული თანხების მართვის და განკარგვის პროცედურები, კერძოდ: სპეციფიური პროექტების დაფინანსება, განაცხადების შერჩევის და დაფინანსების ტექნიკური პროცედურები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის ბიუჯეტში გამოიყო ცალკე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ამხანაგობების ინსტიტუციური მდგრადობის მხარდაჭერას და შეადგენდა 75 000 ლარს. ხოლო თვითმმართველი ქ. ოზურგეთის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცალკე მუხლად გამოიყო «ამხანაგობების და საცხოვრებელი ფონდი», რომელმაც შეადგინა 45 000 ლარი.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მიიღო 3 ნორმატიული აქტი, რომლებიც ეხებოდა საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბების და ამხანაგობების რეგისტრაციასა და განვითარებაზე გამოყოფილი თანხების მართვის პროცედურების დახვეწას;
- ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა და თვითმმართველი ქ. ოზურგეთის საკრებულოებმა საზოგადოებრივი საბჭოებისთვის მიიღეს სპეციალური ნორმატიული აქტები;
- ოზოურგეთის მუნიციპალიტეტში დაცულია ნორმატიული აქტების შემუშავების, დამტკიცებისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილი პროცედურები;

- ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

**IN 2014, THE CIVIL MONITORING NETWORK DEVELOPED 94 RECOMMENDATIONS AIMED AT INCREASING TRANSPARENCY AND ACCOUNTABILITY IN THE TARGET MUNICIPALITIES. OUT OF THOSE, 64 RECOMMENDATIONS WERE TAKEN INTO CONSIDERATION. AS A RESULT:**

- **PROCEDURES RELATED TO REGISTERING COOPERATIVES AND MANAGING THE FUNDS ALLOCATED FOR THEIR SUPPORT WERE IMPROVED. IN PARTICULAR: FUNDING OF SPECIFIC PROJECTS; TECHNICAL SELECTION PROCEDURES, AND FUNDING AN APPLICATION;**
- **IN 2014, A SEPARATE BUDGET LINE, EQUALLING GEL 75 000, WAS ADDED TO OZURGETI MUNICIPALITY BUDGET, TO PROVIDE SUPPORT TO INSTITUTIONAL SUSTAINABILITY OF THE COOPERATIVE. ALSO, IN THE LOCAL 2015 BUDGET OF OZURGETI SELF-GOVERNED CITY, A SEPARATE BUDGET LINE, EQUALLING 45 000 GEL, WAS SET FOR THE "CONSTRUCTION COOPERATIVE AND HOUSING FUND".**
- **OZURGETI MUNICIPALITY PASSED THREE NORMATIVE ACTS RELATED TO CREATING PUBLIC COUNCILS AND IMPROVING MANAGEMENT OF THE FUNDS ALLOCATED FOR THE REGISTRATION AND DEVELOPMENT OF COOPERATIVES.**
- **OZURGETI AND CHOKHATAURI MUNICIPALITIES AND SAKREBULOS OF A SELF-GOVERNED CITY OZURGETI PASSED SPECIAL NORMATIVE ACTS FOR PUBLIC COUNCILS;**
- **PROCEDURES STIPULATED BY THE LAW FOR DEVELOPING, APPROVAL AND PUBLICATION OF THE NORMATIVE ACTS ARE BEING MET IN OZURGETI MUNICIPALITY;**
- **OZURGETI MUNICIPALITY'S ACCOUNTABILITY PROCESS HAS IMPROVED. NAMELY, THE SAKREBULO PASSED A NORMATIVE ACT REGULATING THE MANDATORY RULES AND PROCEDURES OF THE SAKREBULO ACCOUNTABILITY. AS A RESULT OF MEETING THESE REQUIREMENTS, ACCOUNTABILITY OF THE MUNICIPALITY WILL IMPROVE.**

## საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი

2014 წელსაც პროგრამამ გააგრძელა სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო სფეროს მონიტორინგი. კერძოდ მიმდინარეობდა ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი.

### ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი

წლის დასაწყისში განისაზღვრა ის სფეროები, რომელთა მიმართულებით მიმდინარე პროგრამები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, ამიტომ 2014 წელს გადაწყდა სოფლის განვითარების პროგრამის მონიტორინგი.

## Monitoring of the Budgetary Process

Similarly to previous years, in 2014, the Program continued monitoring of the budgetary area in the target municipalities. In particular, documentary and field monitoring of local budget programs was being carried out.

### Documentary and field monitoring of local budget programs

In the beginning of the year, the most important and priority program areas of the current year were identified. Thus, it was decided to carry out a rural development program monitoring in 2014.

დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, პროგრამის ექსპერტებმა გამოითხოვეს და შეისწავლეს სოფლის განვითარების პროგრამასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია და დოკუმენტები. ახალი სოფლის განვითარების პროგრამა დაიწყო 2014 წელს, ამიტომ საინტერესო იყო განახლებულ პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესწავლა და მონიტორინგი. პირველ ეტაპზე შესწავლილი და გაანალიზებული იყო პროგრამის ბენეფიციარებთან შეხვედრების განრიგი. ამის შემდგომ, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩვენი ორგანიზაციის პარტნიორი სათემო ახალგაზრდული ცენტრების დახმარებით შემოწმდა შეხვედრების ჩატარების დროულობა და ფორმატთან შესაბამისობა. ანუ შეხვედრების მსვლელობაში ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მოეხდინა სოფლის პრობლემების იდენტიფიცირება და შემდგომ იმ პრიორიტეტულების გამოყოფა, რომლებიც სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოგვარდება. სათემო ცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ ყველა შეხვედრას აკვირდებოდნენ შეხვედრების მსვლელობას და ინიშნავდნენ პროცესში დაფიქსირებულ ხარვეზებს. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე პროგრამის ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც წარედგინა სოფლის განვითარების პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებელ ადგიობრივ და ცენტრალურ მთავრობას. რეკომენდაციები ეხებოდა კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში დაფიქსირებული შეცდომების და დარღვევების აღმოფხვრას. კერძოდ, საუბარია ადგილობრივ ბიუჯეტებში სოფლის მოსახლეობის პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო თანხების ადეკვატურ ასახვაზე.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე 2015 წლის ბიუჯეტების ფორმირების პროცესების მონიტორინგის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ქსელის ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ხარვეზები მეტ-ნაკლებად ეთნაირი იყო ყველა მუნიციპალიტეტში და ეხებოდა:

- ბიუჯეტები არ შეესაბამებოდა ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროგრამული ბიუჯეტების სტანდარტებს;
- ბიუჯეტებში არ იყო საკმარისად ასახული ადგილობრივი თვითმმართველობებისთვი ახალი კანონით განსაზღვრული ვალდე-

In order to carry out the documentary monitoring, program experts requested and studied public information and documentation related to the rural development program. The new Rural Development Program started in 2014, so it was interesting to study and monitor the amendments made in the renewed program. At the first stage, the schedule of meetings with program beneficiaries was studied and analyzed. Afterwards, with the assistance from our partner community youth centers, timeliness of the meetings and their compliance with the approved format was checked in the target municipalities. During the meetings, local residents were supposed to identify village problems and prioritize the issues to be tackled by the Rural Development Program. Representatives of community centers attended all meetings for observation and for marking the drawbacks identified during the process. Based on the analysis of the obtained information, CSRDG experts developed a package of recommendations, which was then presented to the local and Central authorities responsible for the implementation of the Rural Development Program. The recommendations addressed errors and violations observed in specific municipalities, and suggested the ways of their eradication. Specifically, this implies to providing adequate amount in the local budget that is necessary for solving the priority issues for rural residents.

The shortcoming, revealed by network experts in the target municipalities as a result of analyzing the outcomes of the monitoring of 2015 local budget drafting process, were more or less similar across all municipalities and concerned the following issues:



ბულება "უსახლკაროების აღრიცხვა და თავშესაფრით მათი უზრუნველყოფა", მაგალითად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასეთი მუხლი საერთოდ არ არსებობდა;

- ბიუჯეტებში არ იყო მუხლი, რომელიც მოიცავდა საჯარო მოხელეების განათლებისა და გადამზადებისთვის საჭირო თანხებს;
- ბიუჯეტებში იყო მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა "ზოგადი განათლების განვითარებას" და ამაში იგულისხმებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფი საჯარო და საკვირაო სკოლების სხვადასხვა კაპიტალური და ტექნიკური ხარჯები. აღნიშნული ხარჯები არ შედის მუნიციპალურ კომპეტენციაში და ამიტომ დაუშვებელია;
- მუნიციპალიტეტების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების სუბსიდირება კვლავ ხდებოდა ყოველგვარი პროგრამის და ან დასაბუთების გარეშე.

ზემოხსენებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ქსელის ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გარკვეულწილად გათვალისწინებული იყო, შედეგად:

- საზოგადოებრივი სექტორის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და შენიშვნები მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული იყო ბიუჯეტებში;
- ბიუჯეტებში აღარ იყო ხარჯები თავდაცვაზე, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე;
- ასევე არ იყო გამოყოფილი ხარჯები პარლამენტის მაჟორიტარ წევრთა (დეპუტატთა) ბიუროების შენახვაზე;
- თელავის მუნიციპალიტეტმა თავის ვებ-

- The budgets were not in line with the program budget standards determined by the Ministry of Finances;
- An obligation about "recording homeless people and providing them with shelter" determined for the self-governments by the new law was not sufficiently reflected in the budgets. For example, Ozurgeti municipality budget did not contain this item line at all;
- The budgets did not have an item line for funds for public servants' education and retraining;
- The budgets contain a line about the Development of General Education, implying to various reconstruction and technical expenses for public schools in the target municipalities. These expenses are not within the municipality competence and cannot be included in the budget;
- Subsidizing of civil society organizations and organizations with limited liabilities was still taking place without any program and/or justification.

Recommendations, developed by Network experts for elimination of the above mentioned drawbacks were partially considered. As a result:

- Recommendations and comments made by the public sector were more or less reflected in the budgets;
- The budgets no longer had fundings for defense, public order and safety;
- Also, funds were not allocated for support-





გვერდზე გამოაქვეყნა 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი, ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ასევე საკრებულოს კომისიებში ბიუჯეტის განხილვების განრიგი;

გასულ წელს სათემო ცენტრების აქტიურმა ჩართულობამ 2014 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში რეალური შედეგები გამოიღო.

ing bureaus of majoritarian members of the Parliament;

- Telavi municipality published on its website the 2015 draft budget, the budget priority document and the timeline of budget discussion in the Sakrebulo committees;

Last year, active involvement of community centers in the 2014 budget formation process brought real results.

**საგულისხმოა, რომ ცენტრების ძალისხმევით ადგილობრივ თვითმმართველობებს წარედგინათ 250 სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემა, რომელთაგანაც 82-ის მოსაგვარებლად გამოიყო თანხები. ამ პრობლემების მოგვარებაზე მუნიციპალური ბიუჯეტებიდან და სოფლის განვითარების პროგრამიდან მთლიანობაში მოძიებული იყო 6 230 683 ლარი, აქედან 5 851 733 ლარი გამოყო ადგილობრივმა ბიუჯეტებმა, ხოლო 378 950 სოფლის განვითარების პროგრამამ. 2014 წელს პროგრამის ექსპერტების და სათემო ცენტრების მიერ განხორციელდა ზემოხსენებული თანხების გახარჯვის მონიტორინგი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ თანხები გაიხარჯა მართებულად, შესაბამისად 2014 წელს მოხერხდა 82-ვე პრობლემის გადაჭრა.**

**THE CENTERS SUBMITTED 250 URGENT PROBLEMS TO THE LOCAL SELF-GOVERNMENTS, AND FUNDS WERE ALLOCATED FOR 82 OF THEM. A TOTAL OF 6 230 683 GEL WAS ALLOCATED FROM MUNICIPAL BUDGETS AND THE RURAL DEVELOPMENT PROGRAM BUDGET FOR TACKLING THESE ISSUES. OUT OF THAT, 5 851 733 GEL WAS PROVIDED BY THE LOCAL BUDGET, AND 378 950 GEL - BY THE RURAL DEVELOPMENT PROGRAM. IN 2014, PROGRAM EXPERTS AND COMMUNITY CENTERS MONITORED THE SPENDING OF THE ABOVE MENTIONED SUMS. ACCORDING TO MONITORING RESULTS, THE FUNDS WERE SPENT CORRECTLY, SO, IN 2014, ALL 82 PROBLEMS WERE RESOLVED.**

სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედი სათემო ცენტრები 2014 წელს ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები 2015 წლის ბიუჯეტების ფორმირების პროცესში. ისინი სოფლის მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრების და კონსულტაციების რეჟიმში ახდენდნენ აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირებას და

Community centers operating in the target municipalities in 2014 were also actively involved in the process of the 2015 budget formation. By direct meetings and consultations with village residents, they were identifying and prioritizing current problems. As a result, 78 local problems were presented to local self-govern-

**აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შედგა ადგილობრივი მთავრობის და სათემო ცენტრების წარმატებული თანამშრომლობა. ცენტრების აქტიურობის შედეგად ადგილობრივმა თვითმმართველობამ შესთავაზა პარტნიორობა და ჩართო ცენტრები სოფლებისთვის მუნიციპალური მომსახურების მიწოდების პროცესში. კერძოდ, 2015 წლიდან სათემო ცენტრებს უფასოდ ექნებათ ინტერნეტი, რათა მათ უზრუნველყონ უწყვეტი და ეფექტიანი კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასა და მთავრობას შორის.**

**IT SHOULD BE NOTED THAT THERE WAS SUCCESSFUL COOPERATION BETWEEN THE LOCAL GOVERNMENT AND COMMUNITY CENTERS IN OZURGETI MUNICIPALITY. AS A RESULT OF CENTERS' ACTIVENESS, THE LOCAL SELF-GOVERNMENT OFFERED PARTNERSHIP TO THE CENTERS AND INCLUDED THEM IN THE PROCESS OF PROVIDING MUNICIPAL SERVICES TO THE VILLAGES. NAMELY, AS OF 2015, COMMUNITY CENTERS WILL HAVE FREE INTERNET TO ENSURE CONTINUOUS AND EFFECTIVE COMMUNICATION BETWEEN LOCAL POPULATION AND THE GOVERNMENT.**

პრიორეტიზაციას. შედეგად, ადგილობრივ თვითმმართველობებს წარედგინათ 78 ადგილობრივი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზე საჭირო თანხები გათვალისწინებულია 2015 წლის სოფლის განვითარების პროგრამაში.

ადგილობრივი სათემო ცენტრების უშუალო ჩართულობით ქ. ოზურგეთში 25 საცხოვრებელ სახლში ჩამოყალიბდა იქ მცხოვრებთა ამხანაგობები. ამხანაგობების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით სათემო ცენტრებმა ამხანაგობების დამფუძნებლებს ჩაუტარეს ტრენინგები პროექტის წერასა და ფინანსების მოძიებაზე. შესაბამისად გაიზარდა ამხანაგობების შესაძლებლობები ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოიზიდონ თანხები თავიანთ საცხოვრებელი სახლების პრობლემების მოსაგვარებლად. 2014 წელს ოზურგეთის გამგეობაში მათ წარადგინეს თანხების მოთხოვნის 10 საპროექტო წინადადება, რომელიც განხილვის პროცესშია.

## პრეზენტაციები დაინტერესებული მხარეებისთვის

მონიტორინგის შედეგების გაცნობის მიზნით სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის მიერ ორგანიზაბული იყო 4 პრეზენტაცია ლაგოდეხში, თელავსა და ოზურგეთში. პრეზენტაციებზე საუბარი იყო იმ უზუსტობებზე, რომლებიც სამიზნე მუნიციპალიტეტებში 2013-2014 წლების საბიუჯეტო პროცესების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, ასევე მუნიციპალიტეტების საქმიანობის გამჭვირვალობის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულ ხარვეზებზე. გარდა ამისა, განხილული იქნა ქსელის ექსპერტების მიერ ზემოხსენებული მიმართულებებით შემუშავებული რეკომენდაციები და ის ნაკლოვანებები, რომლებიც გასულ წლებში გამოვლინდა და თვითმმართველობებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად დაიხვეწა 2014 წლისათვის.

პრეზენტაციებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, ადგილობრივი მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, „ცენტრის“ ექსპერტები. ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ფართოდ გაშუქდა ცენტრალურსა და ადგილობრივ მედიაში.

ments and the sums to solve them are allocated in the 2015 Rural Development Program.

In 25 residential buildings of Ozurgeti, local residents established cooperatives with direct involvement of the local community centers. In order to ensure financial sustainability of the cooperatives, community centers delivered trainings to their founders on project writing and funds mobilization issues. Accordingly, cooperatives' possibilities to attract funds from the local budget for solving their problems have increased. In 2014, they submitted 10 project proposals to Ozurgeti Gamgeoba requesting funds, and the applications are now under the consideration.

## Presentations for Stakeholders

In order to get familiar with the monitoring results, the Civil Monitoring Network organized four presentations in Lagodekhi, Telavi and Ozurgeti, addressing the inaccuracies that were revealed during the analysis of 2013-2014 budgetary processes in the target municipalities and the drawbacks identified as a result of monitoring of the municipality activities. Besides, the following issues were discussed: recommendations developed by the Network experts with regard to the above mentioned issues, as well the drawbacks revealed in the previous years and their eliminated in 2014 by joint work with the self-governments.

The presentations were attended by high officials of the local governments, representatives of the local Media and civil society organizations, as well as CSRDG experts. Monitoring results were widely covered in the central and local Media.

## ქვეპროგრამა - კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა

***პროგრამის მიზანია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების საჯაროდ განხილვა და შეფასება, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.***

ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხების კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ინტერესთა დაცვის კამპანიების წარმართვა — ცენტრის მიდგომის ქვაკუთხედია. იგი ხორციელდება როგორც „ცენტრის“ ბაზაზე არსებული ექსპერტების, ისე მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. კვლევებისა და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების ირგვლივ კვლევით საქმიანობას, არამედ მის საჯაროდ განხილვას, „ცენტრის“ რეგულარული გამოცემების, დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების და სემინარების ორგანიზების გზით; თითოეული თემის ირგვლივ ექსპერტული რეკომენდაციების შემუშავებას და შესაბამისი ორგანოებისათვის მიწოდებას; გარდა ამისა, ხდება მათი გათვალისწინების მონიტორინგი და მიღებული შედეგების მასმედიის საშუალებებში გაშუქება.

2014 წელს, გარემოს ანალიზის შედეგად, პროგრამის ფარგლებში შეირჩა რამდენიმე პრიორიტეტული სფერო, კერძოდ: დეცენტრალიზაცია; სოციალური საწარმოების განვითარებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; ადგილობრივი ინიციატივებისა და სათემო ჯგუფების მხარდასაჭერად ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება; ნარჩენების მართვა. ჩამოთვლილ სფეროებში საკითხები შეირჩა მათი სიმწვავის, საზოგადოებისა და სფეროს ექსპერტთა მხრიდან ინტერესის არსებობის კრიტერიუმებით. საბოლოოდ გამოკვეთილ საკითხებზე ჩატარდა კვლევები და განხორციელდა ინტერესთა დაცვის კამპანიები.

## SUBPROGRAM - RESEARCH AND REFORM PROMOTION

***The project goal is to hold public discussion and evaluation of State policies about the issues important to the public, and support consideration of the opinions of various segments of the public during decision making process.***

Research and analysis of issues important for the country development, and conducting advocacy campaigns based on the obtained results is the center stone of CSRDG approach. The activity is carried out by our own experts, as well as in cooperation with invited highly qualified experts. Research And Reform Promotion Program implies to not only carrying out research activities about specific issues, but also to holding public discussions on this topic by means of CSRDG regular publications, and meetings and seminars with stakeholders; development of experts recommendations on each topic and their submission to appropriate organizations. Besides, consideration of the recommendations is being monitored and the results are covered in the Media.

In 2014, based on situation analysis, several priority areas were selected within the Program. In particular: decentralization; creation of favorable legislative basis for the development of social enterprising; customer rights protection; creation of favorable conditions to support local initiatives and community groups; waste management. Within the listed areas, issues were selected considering the following criteria: their acuteness, interest from the public and experts of the respective field. Finally, studies were undertaken about the identified issues and interest advocacy campaigns were carried out.

## დეცენტრალიზაცია

2014 წელს "ცენტრის" ექსპერტმა განახორციელა კვლევა "თვითმმართველობის სისტემის რეფორმა და ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი მის განხორციელებაში." კვლევაში გაანალიზებულია თვითმმართველობის საბიუჯეტო კომპეტენციების მარეგულირებელი სამთავრობო ნორმები და საბიუჯეტო პროცედურების განმსაზღვრელი მუნიციპალური საკანონმდებლო აქტები. კვლევის პროცესში შესწავლილი იყო სამ მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის სრული ციკლი დაგეგმვიდან განხორციელებამდე. თვითმმართველობის რეფორმის განხორცელების შემდგომ კანონმდებლობაში დაფიქსირებული სუსტი მხარეები და ნაკლოვანებები. კვლევაში ხაზგასმულია მუნიციპალიტეტების ფისკალური დეცენტრალიზაციის განვითარების და კომპეტენციების და პასუხისმგებლობების გაზრდის მნიშვნელოვნება.

ჩარჩოში: კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურებისთვის "ცენტრის" ექსპერტმა შეიმუშავა რეკომენდაციები. შედეგად: პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსში და 2016 წლიდან საშემოსავლო გადასახადით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცემა მუნიციპალიტეტებს; მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრიობას. გარდა ამისა, მთავრობამ გამოხატა მზაობა გაარძელოს დისკუსიები და მუშაობა დეცენტრალიზაციის პროცესის დახვეწვის და მუნიციპალიტეტებში საშე-

## Decentralization

In 2014, CSRDG expert carried out a research "Self-Governance System Reform and the Role of Fiscal Decentralization in its Implementation". The study analysis governmental norms regulating budgetary competencies of the self-governance and the municipal legislative acts determining the budgetary processes. During the research, complete cycle of the budgetary process - from planning to implementation - was studied in three municipalities, as well as weaknesses and drawbacks identified in the legislation after the implementation of self-governance reform. The study emphasizes the importance of increasing fiscal decentralization of the municipalities, their competencies and responsibilities.

Framed in: Based on research results, a CSRDG expert developed recommendations for respective governmental agencies. As a result: the Parliament passed amendments to the Budget Code and as of 2016, considerable portion of budget revenues generated from Income Tax will be given to the municipalities; the municipalities will independently determine targeting of the funds allocated by the Government from the special Fund for projects to be implemented in Georgia regions. Besides, the Government has expressed its readiness to continue discussions and work on improving the decentralization process and increasing budg-





მოსავლო გადასახადით მიღებული საბიუჯე-ტო შემოსავლების ზრდის მიმართულებით.

### სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის კონცეფცია

2009 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა დაიწყო საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობა. ამ წლების განმავლობაში, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტებით დაფუძნდა არაერთი სოციალური საწარმო. შედეგად, დღეისათვის საქართველოში უკვე მნიშვნელოვანი ოდენობის სოციალური საწარმოები ფუნქციონირებენ.

სოციალური მეწარმეობის მიმართ გაზრდილ ინტერესს გამოხატავენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებებიც, რაზეც მეტყველებს მათ პროგრამულ პრიორიტეტებში ამ ტერმინის გაჩენა. იმატა სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად გაცემული გრანტების რაოდენობამაც. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ხშირად ხდება ტერმინის განსხვავებულად აღქმა და ინტერპრეტაცია. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც რომ არ არსებობს საკანონმდებლო განმარტება. სოციალური მეწარმეობის კონცეფციის ძირითადი ასპექტების განსაზღვრისა და განსხვავებული ინტერპრეტაციების თავიდან არიდების მიზნით, ასევე დაფინანსების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გასაზრდელად 2014 წელს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" ინიციატივით შიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფში შედიან: სხვადასხვა სამინისტროები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თბილისის მთავრობის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა

etary revenues of the municipalities received from Income Tax.

### The Concept of Social Enterprising Draft Law

In 2009, CSRDG started activity for the promotion of social enterprising in Georgia. During the following years, several social enterprises were established with grants given by SCRDG and its partner organizations. As a result, currently, there is a considerable number of social enterprises operating in Georgia.

Various governmental agencies also express their increased interest towards social enterprising. An indicator for this interest is the appearance of this term in their program priorities. The number of grants issued to establish social enterprises has also increased. Other stakeholders often understand and interpret the term differently. A factor contributing to this is the absence of legislative definition of the term. In 2014, CSRDG formed a work group in order to define the main aspects of social enterprising concept and avoid differing interpretations, and to increase accessibility to funding. The group comprises of representatives of various ministries, civil society organizations and Tbilisi Government. With the joint efforts of the work group, the concept of social enterprising draft law was prepared. Prior to finalizing the draft law concept, meetings were held with social entrepreneurs and other stakeholders. In the second half of 2014, CSRDG lawyer summarized stakeholders' recommendations and





სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის კონცეფცია. კანონპროექტის კონცეფციისთვის საბოლოო სახის მიცემამდე შეხვედრები გაიმართა სოციალურ მეწარმეებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. 2014 წლის მეორე ნახევარში „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ იურისტმა შეაჯამა დაინტერესებულ მხარეთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მათი გათვალისწინებით შეიმუშავა სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი და დაიწყო მისი ადვოკატირების კამპანია.

### მომხმარებელთა უფლებების დაცვა

2014 წელს პროგრამის ექსპერტები მუშაობდნენ, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ადეკვატურად ასახვის ხელშეწყობის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიმდინარეობდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

2014 წელს "ცენტრიმა" განაგრძო ანალიტიკური სტატიების ციკლის გამოქვეყნება, რომელიც სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირში არსებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების მეთოდებს აღწერს. ამჯერად სტატიები ეხებოდა: სურსათის დანამატებს და სურსათის ეტიკეტირების საკითხებს. აგრეთვე გამოიცა მცირე ბროშურა ევროპაში და საქართველოში მომხმარებელთა უფლებების შესადარებლად.

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს ევროინტეგრაციის კომიტეტმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც აქტიურად იყო ჩართული "ცენტრის" ექსპერტი. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონპროექტი. 2014 წლის განმავლობაში წარიმართა კანონპროექტის რატიფიცირებაზე მიმართული ინერესთა დაცვის კამპანია. კერძოდ, ოქტომბერში გაიმართა დაინტერესებული მხარეების კონფერენცია, რომელზეც განხილული იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონპროექტი. განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ევროკავშირის წარმომადგენლები, საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი ეროვნული კომისიების მომხმარებელთა საზოგადოებრივი ინტერესების დამცველები, საქართველოს სახალხო დამცველის აპარა-

comments, developed the final version of social enterprising draft law incorporating those comments, and started its advocacy campaign.

### Customer Rights Protections

In 2014, the Program experts were working on the one hand on the promotion of adequately reflecting customers rights issue in the Georgian legislation, and, on the other hand, customer rights violation cases were being revealed and respective actions taken.

In 2014 CSRDG continued publishing a cycle of analytical articles describing EU requirements with regard to food safety, the methods of its implementation, and addressing issues about food additives and food labeling. A small brochure was also published comparing customer rights in Europe and Georgia.

We would like to remind that, in 2013, Euro-integration Committee set up a work group where CSRDG expert was actively involved. The group drafted Customer Rights Protection law. During 2014, advocacy campaign for the ratification of the draft law was carried out. In particular, stakeholder conference was held in October to discuss customer rights protection draft law. The discussion was attended by representatives of the Parliament of Georgia, the Government, the EU, customers rights defenders of the national regulating committees operating in Georgia, representatives of the Public Defender's Office, business associations and non-governmental organizations. After a heated discussion it was decided that, in November 2014, the Euro-integration Committee will initiate ratification of the draft law. However, the process was delayed by the fact that the draft law envisages certain types of customers contractual rights, which, according to the Association Agreement, will be adopted in the Georgian legislation only from 2019. Until then, Association Agreement stipulates that food safety related issues need to be straightened out. Thus, in 2014-2018, CSRDG will direct its efforts mainly towards food safety issues.

ტის, ბიზნეს ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მწვავე დისკუსიის შედეგად გადაწყდა, რომ 2014 წლის ნოემბერში ევროინტეგრაციის კომიტეტი მოახდენს კანონპროექტის რატიფიცირების ინიცირებას. თუმცა აღნიშნული პროცესი შეაფერხა იმ ფაქტმა, რომ კანონპროექტი განსაზღვრავს მომხმარებელთა განსაკუთრებულ სახელშეკრულებო უფლებებს, რომელთა გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხოლოდ 2019 წლიდან. მანამდე კი ასოცირების ხელშეკრულება პროდუქციის უსაფრთხოების საკითხების მოწესრიგებას ითვალისწინებს. შესაბამისად "ცენტრი" 2014-2018 წლებში თავის ძალისხმევას ძირითადად სწორედ პროდუქციის უსაფრთხოებაზე მიმართავს.

2014 წელს "ცენტრმა" გააგრძელა მუშაობა სურსათის უვნებლობის სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების დახვეწვის მიმართულებით.

In 2014, CSRDG intensified its work with regard to improving food safety standards and respective technical regulations.

Framed in, CSRDG was actively involved in discussions about the amendments to be made in the law on food safety. During Parliament committee hearings in 2014, CSRDG expert developed 19 recommendations, out of which, six were taken by the Parliament into consideration.

In order to prevent falsification of diary products, CSRDG prepared a petition for the Parliament of Georgia, requesting to pass a law to ban using the name "dairy product" for the products containing other materials instead of animal milk as their basic ingredient (e.g. fat, protein). The Parliament ordered Ministry of Agriculture to prepare respective Act. As a result, a work group was created within the Min-

**„ᲪᲔᲜᲢᲠᲘ" ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲢᲐᲜ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲝ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲔᲑᲖᲔ 2014 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ "ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ" ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ 19 ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 6 ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ.**

**CSRDG WAS ACTIVELY INVOLVED IN DISCUSSIONS ABOUT THE AMENDMENTS TO BE MADE IN THE LAW ON FOOD SAFETY. DURING PARLIAMENT COMMITTEE HEARINGS IN 2014, CSRDG EXPERT DEVELOPED 19 RECOMMENDATIONS, OUT OF WHICH, SIX WERE TAKEN BY THE PARLIAMENT INTO CONSIDERATION.**

ქვეყანაში რძის პროდუქტების ფალსიფიკაციის აღსაკვეთად 2013 წელს "ცენტრის" მიერ მომზადდა პეტიცია პარლამენტისად-

istry of Agriculture that started preparation of technical requirements. By May 2014, the Ministry drafted a Project of Technical Regula-





მი. პეტიციაში მოთხოვნილი იყო ისეთი კანონის მიღება, რომელიც აკრძალავდა რძის პროდუქტის დასახელებით ისეთი სასურსათო პროდუქტის გაყიდვას, რომლის არსებითი კომპონენტები (მ.შ. ცხიმი, ცილა) არა ცხოველის რძისგან, არამედ სხვა ნედლეულისგან არის დამზადებული. პარლამენტმა შესაბამისი აქტის მომზადება სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალა. შედეგად, სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ტექნიკური რეგლამენტის მომზადება. 2014 წლის მაისისთვის სამინისტრომ მოამზადა რძის პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტის პროექტი. 2 თვის განმავლობაში პროექტი დეტალურად იხილებოდა დაინტერესებულ სამოქალაქო საზოგადოებასთან და ექსპერტებთან, შემდეგ კი ცენტრის წარმომადგენლის თხოვნით 3 თვე განთავსებული იყო ინტერნეტში საჯაროდ. 2014 წლის ბოლოს გაიმართა დოკუმენტის პროექტის საბოლოო საჯარო განხილვა. ამის შემდეგ, 2014 წლის დეკემბერის დასაწყისში დოკუმენტი გადაეგზავნა დარგობრივ სამინისტროებს კომენტარებისთვის. 2015 წლის დასაწყისში დოკუმენტი გადაეცემა მთავრობას დამტკიცებისთვის.

„ცენტრმა” 2014 წელს გააგრძელა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ბიზნეს კომპანიებისგან და სურსათის ეროვნული სააგენტოსგან ღია წერილებით მათი აღმოფხვრის მოთხოვნა.

მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენის მიზნით კვლავ ფუნქციონირებდა სურსათის ცხელი ხაზი, რომელზეც მოქალაქეებს შეეძლოთ თავიანთი საჩივრების მიწოდება. გარდა ამისა, საჩივრების გაგზავნა შესაძლებელი იყო ფეისბუკის სპეციალურ გვერდზე და თემატურ ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge . შემოსულ საჩივარს ამოწმებდნენ შემდეგი სცენარით: ცენტრის წარმომადგენელი სურსათის ექსპერტთან ერთად მომხმარებლის მიერ მითითებულ მაღაზიაში ყიდულობდა მომხმარებლის მიერ მითითებულ პროდუქტს, რომელიც მოწმდებოდა საჩივრიდან გამომდინარე შერჩეული პარამეტრების მიხედვით, სხვადასხვა აკრედიტებულ ლაბორატორიაში. შემოწმებები მოიცავდა როგორც პროდუქტის უვნებლობისა და ხარისხის პარამეტრებს, ასევე ეტიკეტირების ნორმების

tion of Milk and Dairy Products based on international standards on dairy products. During two months' period, the Project was being discussed in details with stakeholders from the civil society and with experts. Afterwards, based on CSRDG request, it was publicly posted on the Internet. In the end of 2014, final public discussion of the document was held, after which, in the beginning of December 2014, the document was sent to related ministries for their comments. In the beginning of 2015, the document will be submitted to the Government for approval.

In 2014, CSRDG continued revealing customer rights violation cases and requesting their eradication in official open letters sent to business companies and the National Agency on Food Safety.

In order to reveal customer rights violation cases, food safety hotline was again operating, enabling the citizens to submit their complaints. Besides, complains could also be sent to a special Facebook page and a thematic web portal www.momxmarebeli.ge. Submitted complaints were double-checked in the following way: together with food expert, CSRDG representative was purchasing the identified product from the named vendor, and the product was being tested by the parameters listed in the complaint. Testing was carried out in different accredited laboratories and addressed both food safety and quality parameters as well as violation in labeling requirements. All obtained results were published as a new article on the above mentioned web portal and disseminated on the respective Facebook page. Written notifications about the revealed violations was sent to the manufacturer (sometimes, this was the vendor, other times - manufacturer) and the National Agency on Food Safety. If the manufacturer or the vendor disagreed with the testing results, they were able to publish the proof of their counter argument on the same web portal. As a result of CSRDG activity, 89 types of products were tested in 2014, out of

**რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტის პროექტის განხილვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა "ცენტრის" ექსპერტი. მთლიანობაში "ცენტრმა" სამუშაო ჯგუფს მიაწოდა 42 კომენტარი, რომელთაგან 40 სრულად იყო გათვალისწინებული.**

**CSRDG EXPERT WAS ACTIVELY INVOLVED IN THE PROCESS OF DISCUSSIONS HELD ON THE PROJECT OF TECHNICAL REGULATION OF MILK AND DAIRY PRODUCTS. IN TOTAL, CSRDG SUBMITTED TO THE WORK GROUP 42 COMMENTS, OUT OF WHICH, 40 COMMENTS WERE CONSIDERED FULLY.**

დარღვევებს. ყველა მიღებული შედეგი ახალი სტატიის სახით ქვეყნდებოდა ზემოხსენებულ ვებპორტალზე და ვრცელდებოდა ფეისბუკის შესაბამის გვერდზე. გამოვლენილი დარღვევების შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიეწოდებოდა მეწარმეს (ზოგჯერ ეს იყო გამყიდველი მაღაზია, ზოგჯერ კი - მწარმოებელი) და სურსათის ეროვნულ სააგენტოს. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი ან მაღაზია არ ეთანხმებოდნენ ცენტრის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებს, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ იმავე ვებპორტალზე გამოექვეყნებინათ საწინააღმდეგო მტკიცების დამადასტურებელი ინფორმაცია. ცენტრის საქმიანობის შედეგად 2014 წელს შემოწმდა 89 სახეობის პროდუქტი, აქედან 29-ში აღმოჩნდა დარღვევები. გარდა ამისა, სამ ქალაქში (გორი, ახალციხე, ქუთაისი) შერჩეული იყო 3 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებსაც "ცენტრის" ექსპერტებმა ჩაუტარეს ტრენინგები სურსათის უვნებლობის სამოქალაქო მონიტორინგზე, რათა მათ ადგილებზე შეეს-

which, violations were found in 29 cases. Besides, in three cities (Gori, Akhaltsikhe and Kutaisi), three civil society organizations were selected. CSRDG experts held trainings for representatives of these organizations on public monitoring of food safety, so that they would be able to perform customers consultative activities locally.

We would like to remind you that through our Facebook page or the phone, customers are able to contact CSRDG food safety expert with a question or consultation request and get respective feedback.

Our website - www.csrdg.ge - gives access to any interested individual to get familiar with a full version of research activities carried out by our experts.

**აღსანიშნავია, რომ „ცენტრის" მიერ შექმნილი ვებპორტალი WWW.MOMXMAREBELI.GE მომხმარებელთა დიდი ინტერესით და ნდობით სარგებლობს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ WWW.MOMXMAREBELI.GE –ის ფეისბუქ-გვერდმა 19 642 ვიზიტორის მოწონება დაიმსახურა.**

**IT SHOULD BE NOTED THAT THE WEB-PORTAL WWW.MOMXMAREBELI.GE CREATED BY CSRDG ENJOYS GREAT INTEREST AND TRUST FROM THE CUSTOMERS. THE FACT THAT WWW.MOMXMAREBELI.GE FACEBOOK PAGE GOT 19,642 LIKES FROM THE CUSTOMERS ALSO INDICATES TO THIS.**

შეგახსენებთ, რომ ფეისბუქის გვერდზე და ტელეფონით მომხმარებლებს შეუძლია კითხვით ან კონსულტაციის მიღების თხოვნით მიმართოს „ცენტრის" სურსათის ექსპერტ-კონსულტანტს და მისგან პასუხის მიიღოს.

დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს "ცენტრის" ექსპერტების მიერ განხორციელებული კვლევების სრულ ვერსიას ორგანიზაციის ვებგვერდზე www.csrdg.ge.

2014 წელს ჩატარებული ყველა კვლევა მოიცავს კონკრეტულ დასკვნებსა და წინადადებებს. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების აქტუალიზაცია კამპანიურ ხასიათს ატარებდა, რაც გულისხმობდა საკითხის ირგვლივ საჯარო განხილვებისა და სემინარების მოწყობას, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას და მიწოდებას, ასევე მასმედიის საშუალებებში საკითხების ფართოდ გაშუქების სტიმულირებას.

All studies carried out in 2014 give specific conclusions and recommendations. Special campaigns were implemented for the actualization of the above mentioned issues, and were carried out by means of public discussions and seminars on the issue, development and submission of recommendations for respective State agencies, and promotion of wide coverage of the issue by the Media.

*2014 წლის პროექტები*

*Projects implemented in 2014*

- **საქართველოში სურსათის უვნებლობის რეფორმაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა (2012-2014 წ.წ.)**
/ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი/
- **მომხმარებელს მონაწილეობის უფლება აქვს (2013-2014 წ.წ.)**
/ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო"/
- **ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის (2013-2014წ.წ.)**
/ "გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობა"/
- **თვითმმართველობის სისტემის რეფორმა და ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი მის განხორციელებაში (2014 წ.)**
/ფრიდრიხ ებერტის ფონდი/
- **ტრადიციული რეწვა საქართველოში – პლატფორმა სექტორის ეკონომიკური განვითარებისათვის (2014-2015 წ.წ.)**
/ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში/
- **ცენტრის სამწლიანი პროგრამა (2014-2016 წწ.)**
/პური მსოფლიოსთვის/
- **სანიტარულ საკითხებზე ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება: საქართველოს და მოლდოვას მაგალითები (2013-2016 წ.წ.)**
/ "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი"/
- **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა ქართველ მომხმარებლებზე და მათი ცნობიერების ამაღლება (2014-2017 წ.წ.)**
/ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში/

- **Promoting Civil Society Engagement in Food Safety Reform in Georgia (2012-2014)**
/Eurasia Partnership Foundation/
- **Consumer has right to participate (2013-2014)**
/Open Society Foundation – Georgia/
- **Empowering Women for Change (2013-2014)**
/UN Development Program in frames of UNDP Enhancing Gender Equality in Georgia program/
- **Self-Governance System Reform and the Role of Fiscal Decentralization in its Implementation (2014)**
/Friedrich Ebert Stiftung (FES)/
- **Craftsplatform in Action - Enhancing Sectors Economic Capacity for Georgia (2014-2015)**
/European Union/
- **Three years program of the Center (2014 – 2016)**
/ Bread For The World /
- **Transparent Convergence to EU Policies in Sanitary Issues: the case in Georgia and Moldova (2013-2016)**
/Eurasia Partnership Foundation/
- **Raising Awereness of Local Actors on Association Agreement Imlications for Georgian Consumers (2014-2017)**
/European Union/

### *დონორები და პარტნიორები*

- ოქსფამ-ნოვიბი;
- ეკლესიის განვითარების სააგენტო;
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
- აშშ განვითარების სააგენტო;
- გაეროს განვითარების პროგრამა;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინიცია-ტივა;
- "MWH" კონსორციუმი;
- აპროდევ (APRODEV);
- ფონდი „ღია საზოგადოება — საქართვე-ლო";
- ბირმინგემის უნივერსიტეტი;
- საქართველოს გაეროს ასოციაცია;
- ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები – საქართველო";
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი;
- კავკასიის ინსტიტუტი მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარებისათვის;
- საქართველოს სამოქალაქო განვითარე-ბის ასოციაცია (ქ. ლაგოდეხი);
- საქართველოს დემოკრატიული განვი-თარების კავშირი (ქ. ოზურგეთი);
- საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის თელავის ბი-ურო (ქ.თელავი);
- ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;
- კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი;
- ასოციაცია "ელკანა";
- გაეროს განვითარების პროგრამა;
- სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი, თბილისის პროექტთა ბიურო;
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებათა საერთაშორისო ცენტრი;
- გლობალური ინიციატივა ფსიქიატრია-ში;
- კავკასიის არასამთავრობო ორგანიზა-ციათა ქსელი;
- ბრიტანეთის საბჭო;
- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;
- ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო;
- საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი.

### *DONORS AND PARTNERS*

- OXFAM - NOVIB;
- Church Development Service – EED;
- Friedrich Ebert Stiftung (FES);
- USAID;
- UN Development Program;
- Delegation of the European Union to Geor-gia;
- European Neighborhood policy initiative;
- MWH Consortium;
- APRODEV;
- Open Society – Georgia Foundation;
- Birmingham University;
- United Nations Organization of Georgia;
- Center for Change and Conflict Management "Partners-Georgia";
- Civil Society Institute;
- Caucasian Institute for Peace, Democracy and Development;
- Civil Development Association of Georgia (Lagodekhi);
- Union for Democratic Development of Geor-gia (Ozurgeti);
- Telavi bureau nof the Centre for Strategic Re-searcha and Development of Georgia (Telavi);
- Young Economists Association of Georgia;
- Center for Training and Consultancy;
- Association "ELKANA";
- United Nations Development Program (UNDP);
- DVV International;
- International Centre for Conflict and Nego-tiation;
- Global Initiative in Psychiatry;
- Caucasus Environmental NGO Network (CENN);
- British Council;
- Eurasia Partnership Foundation (EPF);
- Ministry of Foreign Affairs of the Czech Re-public;
- Norwegian Refugee Council;
- Charity Humanitarian Centre Abkhazeti.

*2014 წელს სათემო ცენტრების მიერ წარმატებით განხორციელებული პროექტები*

*Community Centers' Successfully Implemented Projects in 2014*

**თელავის მუნიციპალიტეტი**

**Telavi municipality**

სოფელი გულგულა, პროექტი «წარმატებული ქალები – წარმატებული საქმიანობებით» ითვალისწინებდა საგანმამანათლებლო ღონისძიებებს ქალბატონებისათვის, ბიუჯეტი 3 950 ლარი;

Gulgula, Project - Successful Women with Successful Activities, implying to educational events for women. Budget - 3,950 GEL;





სოფელი ფშაველი, პროექტი «ჰარმონიული ურთიერთობები», ასევე გულისხმობდა ქალბატონებისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას, ბიუჯეტი 6 903 ლარი;

Pshaveli, project - Harmonious Relationships - also about carrying out educational activities for women. Budget - 6,903 GEL;





სოფელი ნაფარეული, პროექტი «განახლებული სკვერი» ითვალისწინებდა სოფლის პარკის მოწყობას, ბიუჯეტი 7 254 ლარი.

Napareuli, project - Renovated Small Park, about renovating the village park. Budget - 7,254 GEL.





### საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

სოფელი ნინოწმინდა, პროექტი «ბედნიერი ბავშვობა» ითვალისწინებდა საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობას, ბიუჯეტი 8 000 ლარი;

### Sagarejo municipality

Ninotsminda, project - Happy Childhood, implying to improvement of kindergarten yard. Budget - 8,000 GEL;





სოფელი უდაბნო, პროექტი «ვიზრუნოთ მომავალ თაობაზე» გულისხმობდა სოფლის პარკის მოწყობას, ბიუჯეტი 7 800 ლარი.

Udabno, project - We Care About the Future Generation - implying to making a village park. Budget - 7,800 GEL.





### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

სოფელი ჰერეთისკარი, პროექტი «თემის გაძლიერება» ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის სავაჭრო დახლის მოწყობას, ბიუჯეტი 4 250 ლარი;

### Lagodekhi municipality

Heretiskari, project - Community Strengthening - implying to making a vending stall for farm products. Budget - 4,250 GEL;





სოფელ კართუბანი, პროექტი «სუფთა გარემო მომავლისათვის – ბავშვები ჩვენი მომავალია» გულისხმობდა საბავშვო ბაღის რებილიტაციას, ბიუჯეტი 2 370 ლარი;

Kartubani, project - Clean Environment for the Future - Children Are Our Future, aimed at the rehabilitation of the kindergarten. Budget - 2,370 GEL;





სოფელი ვარდისუბანი, პროექტი «ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრის რეაბილიტაცია» მიზნად ისახავდა ქალთა ცენტრის შექმნას, ბიუჯეტი 5 260 ლარი.

Vardisubani, project - Rehabilitation of the Women's and Youth Center, aimed at creating a women's center. Budget - 5,260 GEL.





**ყვარლის მუნიციპალიტეტი**

სოფელი ენისელი, პროექტი «ქალები ქალებისათვის», ასევე ქალთა ცენტრის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა, ბიუჯეტი 6 319 ლარი;

**Kvareli municipality**

Eniseli, project - Women for Women, was also aimed at creating women's center. Budget - 6,310 GEL.





**ხობის მუნიციპალიტეტი**

სოფელი პირველი მაისი, პროექტი «მომავალი თქვენია» ითვალისწინებდა საბავშვო ბაღის რებილიტაციას, ბიუჯეტი 6 828 ლარი;





სოფელი თორსა-დღაბვა, პროექტი «სიბრძნის საგანძური», გულისხმობდა ბიბლიოთეკის რეაბილიტაციას, ბიუჯეტი 5 917 ლარი.





**მარტვილის მუნიციპალიტეტი**

სოფელი ბანძა, პროექტი «გახდი აქტიური მოქალაქე» მიზნად ისახავდა სამოქალაქო კლუბის რეაბილიტაციას, ბიუჯეტი 7 064 ლარი.





**Khobi municipality**

Pirveli Maisi, project - The Future Is Yours, about the rehabilitation of a kindergarten. Budget - 6,828 GEL;

Torsa-Dghabva, project - Treasury Of Wisdom, about library rehabilitation. Budget - 5,917 GEL.

**Martvili municipality**

Bandza, project - Become an Active Citizen, aimed at the rehabilitation of the citizen's club. Budget - 7,064 GEL.

### სენაკის მუნიციპალიტეტი

სოფელი ნოქალაქევი, პროექტი «ჯანსალი გარემო ჯანმრთელობის საწინდარია» ითვალისწინებდა სოფლის პარკის მოწყობას, ბიუჯეტი 7 384 ლარი.

### Senaki municipality

Nokalakevi, project - Healthy Environment is a Pre-Condition for Health, aimed at making village park. Budget - 7,384 GEL.





### აბაშის მუნიციპალიტეტი

სოფელი სამიქაო, პროექტი «ახალი თაობა – უკეთესი მომავალი», გულისმობდა საბავშვო ბაღის რებილიტაციას, ბიუჯეტი 7 979 ლარი.

### Abasha municipality

Samikao, project - New Generation - Better Future, aimed at kindergarten rehabilitation. Budget - 7,979 GEL.





ტრენინგები/კონსულტაციები/სემინარები
TRAININGS/CONSULTATIONS/SEMINARS

| პროგრამა /მომხმარებელი PROGRAM/CUSTOMER | დასახელება NAME | მონაწილეთა რაოდენობა NUMBER OF PARTICIPANTS |
|---|---|---|
| სათემო ორგანიზაციებისთვის და ახალგაზრდული ცენტრებისთვის For CYCs and CBOs | | |
| 1 CSRDG Program ცენტრის პროგრამა | Cooperative Advocacy მონაწილეობითი ადვოკატირება | 17 |
| 2 CSRDG Program ცენტრის პროგრამა | Local Governance in Georgia - its Challenges ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში - არსებული გამოწვევები | 25 |
| 3 Project "Empowering women for change" (UNDP) პროექტი "ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის" (გაეროს განვითარების პროგრამა) | 2 Meeting of women groups with the active CSOs 2 შეხვედრა საქართველოში მოქმედ ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან | 88 |
| 4 Project "Empowering women for change" (UNDP) პროექტი "ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის" (გაეროს განვითარების პროგრამა) | 2 Meeting of women groups with the active women businesses 2 შეხვედრა წარმატებული ბიზნე-სის მქონე ქალბატონებს | 81 |
| 5 Project "Empowering women for change" (UNDP) პროექტი "ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის" (გაეროს განვითარების პროგრამა) | 4 Trainings on Project Planning and Proposal Writing" პროექტის დაგეგმვა და წერა (4 ტრენინგი) | 62 |
| 6 Project "Empowering women for change" (UNDP) პროექტი "ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის" (გაეროს განვითარების პროგრამა) | 4 Trainings on "Business Planning" ბიზნესის დაგეგმვა (4 ტრენინგი) | 62 |
| 7 Project "Empowering women for change" (UNDP) პროექტი "ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის" (გაეროს განვითარების პროგრამა) | 4 Trainings on "Local Self-Government Transparency and Effective Participation of Citizens in Decision Making and Budgetary Process" ადგილობრივი თვითმმართველო-ბის გამჭვირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და საბიუჯეტო პრო-ცესებში (4 ტრენინგი) | 59 |

| პროგრამა /მომხმარებელი PROGRAM/CUSTOMER | დასახელება NAME | მონაწილეთა რაოდენობა NUMBER OF PARTICIPANTS |
|---|---|---|
| სათემო ორგანიზაციებისთვის და ახალგაზრდული ცენტრებისთვის For CYCs and CBOs | | |
| 8 CSRDG Program ცენტრის პროგრამა | Strategic and Short term planning workshops (5 meetings) სტრატეგიული და მოკლევადიანი დაგეგმვა (5 შეხვედრა) | 81 |
| 9 Project "Empowering women for change" (UNDP) პროექტი "ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის" (გაეროს განვითარების პროგრამა | Problem Presentation meetings with Local Governments (8 meetings) 8 შეხვედრააადგილობრივ თვითმ-მართველობებთან გამოვლენილი პრობლემების გაცნობის მიზნით | 120 |
| 10 CSRDG Program ცენტრის პროგრამა | Implications of Association Agreement and DCFTA for food safety in Georgia საქართველოში სურსათის უვნე-ბლობაზე ევროკავშირთან ასო-ცირების ხელშეკრულების ზეგავ-ლენა | 30 |
| Sub-Total სულ დამსწრეთა რაოდენობა | | 625 |
| | | |
| FOR SEs, NGOs სოციალური საწარმოებისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის | | |
| 11 CSRDG Program ცენტრის პროგრამა | Business Planning for Social Enterprises ბიზნესის დაგეგმვა სოციალური საწარმოებისთვის | 11 |
| 12 People in Need ადამიანები გაჭირვებაში | Introduction to Social Entrepreneurship სოციალური მეწარმეობის არსი (შესავალი კურსი) | 15 |
| 13 People in Need ადამიანები გაჭირვებაში | Introduction to Social Entrepreneurship სოციალური მეწარმეობის არსი (შესავალი კურსი) | 16 |
| 14 Eurasia Partnership Foundation ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი | Business Planning for Social Enterprises ბიზნესის დაგეგმვა სოციალური საწარმოებისთვის | 12 |
| 15 Arbeiter-Samariter-Bund of Georgia მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში | Introduction to Social Entrepreneurship for Journalists სოციალური მეწარმეობის არსი -შესავალი კურსი ჟურნალისტები-სთვის | 20 |

| პროგრამა /მომხმარებელი PROGRAM/CUSTOMER | დასახელება NAME | მონაწილეთა რაოდენობა NUMBER OF PARTICIPANTS |
|---|---|---|
| **FOR SEs, NGOs სოციალური საწარმოებისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის** | | |
| 16 Third Sector Research Centre მესამე სექტორის კვლევის ცენტრი | Social Entrepreneurship and Social Economy, the UK Experience სოციალური მეწარმეობა და სოციალური ეკონომიკა, დიდი ბრიტანეთის გამოცდილება | 70 |
| 17 Arbeiter-Samariter-Bund of Georgia მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში | Introduction to Social Entrepreneurship სოციალური მეწარმეობის არსი (შესავალი კურსი) | 20 |
| 18 Arbeiter-Samariter-Bund of Georgia მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში | Introduction to Social Entrepreneurship სოციალური მეწარმეობის არსი (შესავალი კურსი) | 19 |
| 19 CIDA სამოქალაქო განვითარების სააგენტო | Effective Work and Communication with Community თემთან ეფექტური კომუნიკაცია და მუშაობა | 17 |
| 20 Liberal Academy Tbilisi ლიბერალური აკადემია, თბილისი | Coalition Building, Networking and E-Communication კოალიციური, ქსელური საქმიანობა, ეფექტური კომუნიკაცია | 14 |
| 21 Young Pedagogues' Union ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი | Training of Trainers treningi trenerebisTvis | 9 |
| 22 Young Pedagogues' Union ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი | Evaluation and Monitoring შეფასება და მონიტორინგი | 9 |
| 23 The IDP Women Association "Consent" იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" | Organizational Needs Assessment; Developing Organization Structure; Sustainability of NGOs ორგანიზაციული საჭიროებების გამოვლენა, ორგანოსტრუქტურის შექმნა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადობა | 12 |
| 24 The IDP Women Association "Consent" იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" | Strategic Planning სტრატეგიული დაგეგმვა | 10 |

| პროგრამა /მომხმარებელი PROGRAM/CUSTOMER | დასახელება NAME | მონაწილეთა რაოდენობა NUMBER OF PARTICIPANTS |
|---|---|---|
| **FOR SEs, NGOs<br>სოციალური საწარმოებისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის** | | |
| 25 Cross-Border Cooperation Programme Black Sea basin 2014-2020<br>შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამა 2014-2020 | National Consultation on Programme Priorities<br>კონსულტაცია პროგრამის პრიორ-იტეტებზე | 68 |
| 26 Arbeiter-Samariter-Bund of Georgia<br>მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში | Business Planning for Social Enterprises<br>ბიზნესის დაგეგმვა სოციალური საწარმოებისთვის | 16 |
| 27 Arbeiter-Samariter-Bund of Georgia<br>მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში | Local Governance and Social entrepre-neurship<br>ადგილობრივი თვითმმართვრლო-ბა და სოციალური მეწარმეობა | 11 |
| 28 Arbeiter-Samariter-Bund of Georgia<br>მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში | Local Governance and Social entrepre-neurship<br>ადგილობრივი თვითმმართვრლო-ბა და სოციალური მეწარმეობა | 14 |
| 29 People in Need<br>ადამიანები გაჭირვებაში | Planning and Evaluation of Social Outcomes<br>სოციალური შედეგების დაგეგმვა და შეფასება | 6 |
| 30 4 Seminars for Student's competition<br>4 სემინარი სტუდენტების კონკურსში მონაწილე ახალგაზ-რდებისთვის | Introduction to Social Entrepreneurship<br>სოციალური მეწარმეობის არსი | 92 |
| Sub-Total<br>სულ დამსწრეთა რაოდენობა | | 461 |
| **FOR Schools, Businesses<br>სკოლებისთვის, ბიზნესისთვის** | | |
| 31 Bank of Georgia<br>საქართველოს ბანკი | Effective Communication for Managers<br>ეფექტური კომუნიკაცია მენეჯერ-ებისათვის | 60 |
| 32 Bank of Georgia<br>საქართველოს ბანკი | Call Center Customer Service<br>"ქოლცენტრის" მომსახურება | 32 |
| 33 Bank of Georgia<br>საქართველოს ბანკი | Effective on the Job Training and Men-toring<br>ეფექტური მონტორინგი | 15 |

| პროგრამა /მომხმარებელი PROGRAM/CUSTOMER | დასახელება NAME | მონაწილეთა რაოდენობა NUMBER OF PARTICIPANTS |
|---|---|---|
| **FOR Schools, Businesses სკოლებისთვის, ბიზნესისთვის** | | |
| 34 Bank of Georgia საქართველოს ბანკი | Call Center Customer Service "ქოლცენტრის" მომსახურება | 29 |
| 35 Geocell ჯეოსელი | Effective Sales ეფექტური გაყიდვები | 27 |
| 36 Geocell ჯეოსელი | Effective Sales-Advanced Course ეფექტური გაყიდვები – ჩაღრმავებული კურსი | 26 |
| Sub-Total სულ დამსწრეთა რაოდენობა | | 189 |
| **GRAND TOTAL დამსწრეთა ჯამური რაოდენობა** | | **1275** |

## *2014 წლის გამოცემები*

## *CSRDG Publications in 2014*

### *დეცენტრალიზაცია/თვითმმართველობის განვითარება*

### *Government Decentralization/ Local government development*

**N123 ბიულეტენი**

- თვითმმართველობის სისტემის რეფორმა და ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი მის განხორციელებაში /ლ. ალაფიშვილი/

**Bulletin N123**

- Self-Governance System Reform and the Role of Fiscal Decentralization in its Implementation /L. Alapishvili/

### *მომხმარებელთა უფლებები*

**ბროშურა:**

- სურსათის დანამატები;
- სურსათის ეტიკეტირება;
- მომხმარებელი ევროპაში დაცულია, საქართველოში - არა.

### *Consumers Rights*

**Brochure:**

- Food Additives;
- Food Labeling;
- Consumers are protected in Europe and not – in Georgia.

**2013 წლის წლიური ანგარიში.**

**Annual Report 2013.**

*2014 წლის ფინანსური ანგარიში*

*Financial Report for 2014 / Auditort's Report 2014*

1. ფინანსური მდგომარეობის გაანგარიშება (ლარში)
*2014 წლის 1 იანვრიდან 2014წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის*

**STATEMENT OF FINANCIAL POSITION ( IN GEL)**
***For the period from 1 January 2014 to 31 December 2014***

| საბალანსო უწყისი | 2014 | 2013 | BALANCE SHEET |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | **ASSETS** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | **Current Assets** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკ-ვივალენტები | 632,931 | 475 811 | Current Assets |
| საგადასახადო აქტივები | 23558 | 23546 | Cash and Cash Equivalents |
| გადახდილი ავანსები | 1829 | 9178 | Tax Assets |
| მისაღებო გრანტები | 1619949 | 1695138 | Advance Payment |
| სულ მიმდინარე აქტივები | 2278267 | 2203673 | Grants receivable |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | **Total Current Assets** |
| ძირითადი საშუალებები | 182840 | 196482 | Fixed assets |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 182840 | 196482 | Total long-term Assets |
| **სულ აქტივები** | 2461407 | 2400155 | **Total Assets** |
| **ვალდებულებები და რეზერვები** | | | **RESERVES AND LIABILITIES** |
| ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 1557 | 303 | Advances received |
| მიღებული ავანსები | 7560 | 10940 | Tax liabilities |
| საგადასახადო ვალდებულებები | 20247 | 22382 | Grantreceived in advance |
| ავანსად მმიღებული გრანტები | 31972 | - | Other liabilities |
| სხვა ვალდებულებები | 471 | - | Deferred grant imcome |
| გადავადებული საგრანტო შე-მოსავალი | 2400784 | 2223513 | Tax Liabilities |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი | 28261 | 23805 | Accumulated gain/loss |
| სულ მიმდინარე ვალდებულე-ბები | 2490852 | 2280.943 | Total Current Liabilities |
| წმინდა აქტივები | (29744) | 119212 | Net assets |
| **სულ რეზერვები და ვალდებულებები** | 2461107 | 2400155 | **Total Reserves and Liabilities** |

2. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ლარში)

*2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის*

STATEMENT OF CASH FLOW (GEL)

*For the period from 1 January 2014 to 31 December 2014*

| | 2014 | 2013 | |
|---|---|---|---|
| ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები | 69,183 | 95,788 | Cash received from economic activities |
| მიღებული შემოწირულობა | 3,787 | 827 | Cash received from donations |
| თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები | (337,107) | (272,926) | Cash paid to personnel |
| დაქირავვებულებზე გაცემული ჰონორარები | (94,872) | (86,590) | Cash paid for salaries of employees |
| მივლინების ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები | (16,238) | (15,436) | Cash paid for business trips |
| ქვეგრანტორებზე გაცემული გრანტები | (171,481) | (118,805) | Cash paid to sub-contractors |
| გაწეული მომსახურებისთვის და შეძენილი საქონლისთვის გაცემული ფულადი სახსრები | (162,232) | (142,061) | Cash paid for services rendered and goods purchased |
| ოფისის ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები | (30,015) | (18,214) | Cash paid for office expenses |
| გადახდილი გადასახადები | (123,184) | (73,916) | Taxes paid |
| საბანკო ხარჯი | (1,635) | (1,124) | Bank expenses |
| სხვა ხარჯები | (5,101) | (957) | Other expenses |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | 154,376 | 282,667 | **NET CASH PROVIDED BY OPERATING ACTIVITIES** |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (3,805) | (39,544) | Acquisition of property,plant and equipment. |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | - | 850 | Sale of property,plant and equipment |
| **კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი** | (3,805) | (38,694) | Net cash used in investing activities |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | 6,506 | 4,155 | Interest revenue received |
| მიღებული საპროცენტო შემოსავლები | 6,506 | 4,155 | **Net cash flows from financing activities** |
| ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენდების წმინდა ზრდა | 157,078 | 248,128 | **Net increase in cash and cash equivalents** |
| კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი | 42 | 6,448 | **Gain/loss from exchange rate changes** |

| | | | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 475,811 | 221,235 | Cash and cash equivalents at the beginning of the year |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის | 632,931 | 475,811 | Cash and cash equivalents at the end of the year |

3. შემოსავალი/ ნაღდი ფულის შემოსვლა (ლარში)
*2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის*

**STATEMENT OF Cash Receipts ( In GEL)**
*For the period from 1 January 2014 to 31 December 2014*

| | 2014 | 2013 | |
|---|---|---|---|
| ეკლესიის განვითარების სააგენტო | - | 138 954 | Church Development Service (EED) |
| პური მსოფლიოსათვის | 403482.19 | 203 109,36 | Bread For The World |
| გაეროს განვითარების პროგრამა | 114726.6 | 423 481,58 | United Nations Development Programme (UNDP) |
| ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი | 75932.22 | 76 373 | Eurasia Partnership Foundation |
| ღია საზოგადოება –საქართველო | 24742 | 56 981 | Open Society Foundation – Georgia (OSGF) |
| რეგიონალური შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები | 2397.27 | - | Regional Capasity Building Initiative (RCBI) |
| ლიბერალური აკადემია თბილისი<br><br>ფრიდრიხ ებერტის ფონდი | 6866.73<br><br>27097 | 8964<br><br>- | Liberal Academy Tbilisi<br><br>Friedrich Ebert Stiftung (FES) |
| საქ.ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი | 132.884.22 | - | Georgian Art & Culture Center (GACC) |
| ევროკავშირი | 241886.62 | - | European Union (EU) |
| შპს “ჯეოსელი” | 6720 | 20539 | LTD „Geoseli“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქალთა ინიციატივები მხარდამჭერი ჯგუფი | - | 5310 | Wemen Inisiative sofort group |
| მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში | 10460 | 20440 | Arbeiter-Samariter-Bund of Georgia (ASB) |
| სვანეთის ტურიზმის ცენტრი | - | 6428 | Svaneti Tourism Center |
| საქართველოს ბანკი | 18900 | 17100 | Bank of Georgia |
| კვინა ტილ კვინა | - | 15059 | Kvinna Till Kvinna |
| კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის | - | 1300 | Coalition for Independent Life |
| ადამიანები გაჭირვებაში | 2600 | 750 | People in Need |
| პარტნიორები – საქართველო | - | 5789 | Partners – Georgia |
| საერთაშორისო მართვის სისტემები | - | 9905 | MSI |
| ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი | 4570 | - | ISNC- Institute for the study of Nationalism and Conflict |
| სამოქალაქო განვითარების სააგენტო | 3400 | - | CIDA- Civil Development Agency |
| ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი | 3000 | - | Young Pedagogues Union |
| იძულებით გადაადგილებულ ქალთა სოციაცია „თანხმობა“ | 5235.59 | - | CONSENT IDP(internally displaced person) women association |
| სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი | 7560 | - | Civil Society Institute |
| აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსავალი | - | - | Income Generated From Sale of Assets |
| ინდივიდუალური შემოწირულობები | 3786.8 | 813 | Contributions from Individuals |
| საპროცენტო შემოსავალი (დეპოზიტი) | 6506.41 | 4155 | Interest Income (Deposit) |
| სხვა | 2334.27 | 1846 | Other |
| **სულ შემოსავალი** | 1105088 | 1 019 532 | **Total Income** |

## 3.1 დონორებისგან მიღებული ფულადი სახსრები (1 105 087.92 ლარი)
## TOTAL INCOME FROM DONORS (1 105 087.92 GEL)



- UNDP - UN Development Program გაეროს განვითარების პროგრამა – 53% (1 119 146 Gel)
- BW - Bread For The World პური მსოფლიოსათვის – 19% (403 482 Gel)
- UNDPOSGF – Open Society Foundation Georgia ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო" – 1% (24 742 Gel)
- Eurasia Partnership Foundation ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი- 4% (75 932.22Gel)
- Regional Capasity Building Initiative (RCBI) რეგიონალური შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები- 0% ( 2397,27Gel)
- Friedrich Ebert Stiftung (FES) ფრიდრიხ ებერტის ფონდი -1% ( 27 097Gel)
- Georgian Art & Culture Center (GACC) საქ. ხელოვნებისა და კუტურის ცენტრი - 6% (132 884,22Gel)
- European Union (EU) ევროკავშირი- 11 % (241 886,62Gel)
- LTD "Geo-cell"/ შპს "ჯეოსელი" – 0% ( 6720Gel)
- ASB - Arbeiter-Samariter-Bund of Georgia/ მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში – 0% (10 460 Gel)
- BG- Bank of Georgia/ საქართველოს ბანკი – 1% (18 900 Gel)
- NDI - National Democratic Institute/ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი – 0% (4 570 Gel)
- LAT - Liberal Academy Tbilisi/ ლიბერალური აკადემია თბილისი – 0% (6 866,73 Gel)
- People in Need/ ადამიანები გაჭირვებაში – 0% (2 600 Gel)
- CIDA-Civil Development Agency სამოქალაქო განვითარების სააგენტო- 0% (3 400 Gel)
- Young Pedagogues Union ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი- 3 000 Gel)
- CONSENT IDP(internally displaced person) women association იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა"- 0% (5235,59 Gel)
- Civil Society Institute/სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი- 0% (7 560 Gel)
- Contributations from Individuals ინდივიდუალური შემოწირულობები- 0% (3 786,8Gel)
- Interest Income (Deposit) საპროცენტო შემოსავალი( დეპოზიტი) - 0% (6 506,41Gel)
- Other/ სხვა- 0% (2 334,27Gel)

- **გრაფიკში ნახმარ შემოკლებათა განმარტება**/Abbreviations used:
  UNDP - UN Development Program/ გაეროს განვითარების პროგრამა – 1 119 146
  BW - Bread For The World/ პური მსოფლიოსათვის – 403 482.19
  OSGF – Open Society Foundation – Georgia /ფონდი "ღია საზოგადოება –საქართველო" – 24 742
  Eurasia Partnership Foundation/ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი- 75 932.22
  Regional Capasity Building Initiative (RCBI)/ რეგიონალური შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები- 2397,27
  Friedrich Ebert Stiftung (FES)/ ფრიდრიხ ებერტის ფონდი- 27 097
  Georgian Art & Culture Center (GACC)/ საქ. ხელოვნებისა და კუტურის ცენტრი-132 884,22
  European Union (EU)/ ევროკავშირი- 241 886,62
  LTD "Geo-cell"/ შპს "ჯეოსელი" – 6720

ASB - Arbeiter-Samariter-Bund of Georgia/ მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში – 10 460
BG- Bank of Georgia/ საქართველოს ბანკი – 18 900
NDI - National Democratic Institute/ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი – 4 570
LAT - Liberal Academy  Tbilisi/ ლიბერალური აკადემია თბილისი – 6 866,73
People in Need/ ადამიანები გაჭირვებაში – 2 600
CIDA-Civil Development Agency/ სამოქალაქო განვითარების სააგენტო- 3 400
Young Pedagogues Union/ ახლგაზრდა პედაგოგთა კავშირი- 3 000
CONSENT IDP(internally displaced person) women association/იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა"- 5235,59
Civil Society Institute/სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი- 7 560
Contributations from Individuals/ ინდივიდუალური შემოწირულობები- 3 786,8
Interest Income (Deposit)/ საპროცენტო შემოსავალი( დეპოზიტი)- 6 506,41
Other/ სხვა- 2 334,27

**3.2 გაწეული სერვისებით (ტრენინგებითა და კონსულტაციებით) მიღებული შემოსავალი**
**Income from services provided (trainings and consultations)**

| | |
|---|---|
| სერვისებით მიღებული მთლიანი შემოსავალი / TOTAL Income from services provided | 75304,01 |
| შპს "ჯეოსელი"<br>LTD "Geo-cell" | 6720 |
| ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტე<br>Institute for the study of Nationalism and Conflict | 4570 |
| სამოქალაქო განვითარების სააგენტო<br>Civil Development Agency | 3400 |
| ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი<br>Young Pedagogues Union | 3000 |
| მუშა სამარიტელთა კავშირი საქართველოში<br>Arbeiter-Samariter-Bund of Georgia | 10460 |
| ადამიანები გაჭირვებაში<br>People in Need | 2600 |
| საქართველოს ბანკი<br>Bank of Georgia | 18900 |
| ევრაზიის განვითარეების ფონდი<br>Eurasia Partnership Foundation | 2115 |
| იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა<br>Consent IDP(internally displaced person) women association | 5235.59 |
| გაეროს განვითარების პროგრამა<br>United nations development Porgramme | 2812 |
| სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი<br>Civil Society Institute | 7560 |
| ლიბერალური აკადემია თბილისი<br>Liberal Academy Tbilisi | 1810.35 |

შპს აუდიტი და ბიზნეს კონსალტინგი

An independent member of Morison International

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
დელისის I შესახვევი 5ა
თბილისი, საქართველო

**ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება**

1. ჩვენ ჩავატარეთ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი-ს (შემდგომში “ორგანიზაცია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგებას, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

2. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

   აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

   გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

6 Marjanishvili Str |Tbilisi 0102, Tbilisi, Georgia
office +995 322 000 123
info@morison.ge|www.morison.ge

Audit | Accounting | Tax & Legal | Valuation | Business Consulting

ABC is a member of the Morison International, a global association of leading professional service firms, established to meet the cross-border accounting, auditing, tax and business consulting needs of clients.

**მოსაზრება**

4. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება სააღრიცხვო პოლიტიკას როგორ ეს აღწერილია შენიშვნა 2-ში.

**მნიშვნელოვანი გარემოება**

5. ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენილი შესაბამისი ციფრობრივი მონაცემები, გარდა იმ კორექტირებებისა, რაც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2 (6)-შია აღწერილი, ეყრდნობა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომლის აუდიტი ჩაატარეს სხვა აუდიტორებმა და რომელთა 2014 წლის 23 მაისის დასკვნის თანახმად გამოთქმულია უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ განვახორციელეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2 (6)-ში აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომელთა მიხედვითაც მოხდა გადაანგარიშებები 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ჩვენი აზრით, ამგვარი კორექტირებები მართებულია და სათანადოდაა გამოყენებული. ზემოთხსენებული კორექტირებების გარდა, ჩვენ არ ვიყავით ჩართული ორგანიზაციის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის ჩატარებაში ან რაიმე სხვა პროცედურის გამოყენებაში, და ამგვარად არ გამოვთქვავთ დასკვნას ან რამე სახის რწმუნებას მთლიანობაში 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

**მიშა აბაიაძე / პარტნიორი**

აგვისტო 12, 2015
თბილისი, საქართველო

Audit and Business Consulting, LLC

An independent member of Morison International

**INDEPENDENT AUDITORS' REPORT**

The Center for Strategic Research and Development of Georgia
Delisi 1st Lane 5a
Tbilisi, Georgia

**Identification of financial statements**

1. We have audited the accompanying financial statements of the Center for Strategic Research and Development of Georgia (the Organization), which comprise the statement of financial position as of December 31, 2014, and the statements of activities, statement of changes in net assets, statement of functional expenses and cash flows for the year then ended and a summary of significant accounting policies and other explanatory notes.

**Management's Responsibility for the Financial Statements**

2. Management is responsible for the preparation and fair presentation of these financial statements. This responsibility includes: designing, implementing and maintaining internal control relevant to the preparation and fair presentation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error; selecting and applying appropriate accounting policies; and making accounting estimates that are reasonable in the circumstances.

**Auditors' Responsibility**

3. Our responsibility is to express an opinion on these financial statements based on our audit. We conducted our audit in accordance with International Standards on Auditing. Those standards require that we comply with ethical requirements and plan and perform the audit to obtain reasonable assurance whether the financial statements are free from material misstatement.

   An audit involves performing procedures to obtain audit evidence about the amounts and disclosures in the financial statements. The procedures selected depend on the auditors' judgment, including the assessment of the risks of material misstatement of the financial statements, whether due to fraud or error. In making those risk assessments, the auditor considers internal control relevant to the entity's preparation and fair presentation of the financial statements in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of the entity's internal control. An audit also includes evaluating the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates made by management, as well as evaluating the overall presentation of the financial statements.

   We believe that the audit evidence we have obtained is sufficient and appropriate to provide a basis for our audit opinion.

**Opinion**

4. In our opinion, the financial statements referred to above present fairly, in all material respects, the financial position of the Organization as of December 31, 2014, and of its financial performance and its cash flows for the year then ended in accordance with the basis of accounting policies described in note 2 to the financial statements.

6 Marjanishvili Str |Tbilisi 0102, Tbilisi, Georgia
office +995 322 000 123
info@morison.ge|www.morison.ge

Audit | Accounting | Tax & Legal | Valuation | Business Consulting

ABC is a member of the Morison International, a global association of leading professional service firms, established to meet the cross-border accounting, auditing, tax and business consulting needs of clients.

**INDEPENDENT AUDITORS' REPORT *(Continued)***

**Emphasis of Matter**

5. We draw attention to the fact that the corresponding figures presented, excluding the adjustments described in Note 2 (m) to the financial statements, are based on the financial statements of the Organization as at and for the year ended 31 December 2013, which were audited by other auditors whose report dated 23 May 2014 expressed unmodified opinion on those statements. As part of our audit of the 2014 financial statements, we have audited the adjustments described in Note 2 (m) to the financial statements that were applied to restate the 2013 financial statements. In our opinion, such adjustments are appropriate and have been properly applied. We were not engaged to audit, review, or apply any procedures to the 2013 financial statements of the Organization other than with respect to the adjustments and, accordingly, we do not express an opinion or any other form of assurance on the 2013 financial statements taken as a whole.

**Misha Abaiadze / Partner**

August 12, 2015
Tbilisi, Georgia

თბილისი, დელისის I შესახვევი 5ა
Tbilisi, Delisi I st Lane 5a
ტელ. 2399018/19 ფაქსი 2399018
office@csrdg.ge; www.csrdg.ge